დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

- ტარიელ სივსივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ირმა ქაფიანიძე(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

- მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**242007546**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ჩოხატაური**
იურიდიული მისამართი	**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი გუთური**
ფაქტობრივი მისამართი	**სოფელი გუთური**
საფოსტო ინდექსი	**4900**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://catalog.emis.ge/institutions/652
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	guturi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577624888**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 8 23 0000712116 19.06.2023 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	27 – 28 ივლისი, 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო

	პროგრამის სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**დაწყებითი საფეხური I – VI კლასი**	**ქართული**	**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუთური**
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბაზო საფეხური VII – IX კლასი**	**ქართული**	**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუთური**
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საშუალო საფეხური X – XII კლასი**	**ქართული**	**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუთური**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლის შეფასების პროცესში ყველა ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ექსპერტების მიერ სკოლიდან შესაბამის ვადებში გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის ნაწილი სკოლამ დროულად მოგვაწოდა, ნაწილი კი ადგილზე ვიზიტისას დაგვახვედრა.

ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ლაბორატორიები. სკოლის შენობა ახალია და სრულად ადაპტირებული.
საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სკოლამ გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. სკოლის პერსონალს კარგად აქვს გააზრებული საკუთარი უფლება- მოვალეობანი, იცნობენ განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებს და ნერგავენ სასკოლო პრაქტიკაში, სკოლის დირექცია მაქსიმალურად უწყობს ხელს მოსწავლეებს ფორმალური განათლების პარალელურად მიიღონ არაფორმალური განათლება. სასკოლო საზოგადოება მზადაა მუდმივი განვითარებისათვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის, რადგან ხარისხიანი განათლების მიღება მუდმივი პროგრესის გარეშე შეუძლებელია.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლას აქვს საუკეთესო პრაქტიკა არაფორმალური განათლების მიმართულებით, ფუნქციონირებს კლუბები: ლიტერატურული კლუბი: „ფურცელ-ფურცელ შეგროვილი ცოდნა“, „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია“ და ეკოკლუბი.

სკოლა წარმატებით მონაწილეობს საგრანტო კონკურსებში, თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოგებული აქვს გრანტები ორგანიზაცია "ორბელიანი მეტის" (შვიდი ათასი ლარი) და არასამთავრობო ორგანიზაციისგან "ქალები ქალებისთვის"(ხუთი ათასი ლარი). მოპოვებული აქვს დაფინანსება (1100 ლარი) პროექტის „მზის ჩირი" განსახორციელებლად, რომლის ფარგლებშიც მშობელთა ჩართულობით შექმნილია მზის ენერგიაზე მომუშავე ჩირის დასამზადებელი დანადგარი. სკოლა ხშირად მონაწილეობს ვიდეორგოლების კონკურსებში და იღებს სასაჩუქრე ვაუჩერებს. პროექტების ფარგლებში თანამშრომლობს სხვა სკოლებთანაც გამოცდილების გაზიარების მიზნით.

სკოლაში ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი ,,ფურცელ-ფურცელ შეგროვილი ცოდნა", რომელიც დაკომპლექტებულია V-VI-VII კლასის მოსწავლეებისგან და თანამშრომლობს USAID-ის საბაზო განათლების პროგრამის ფარგლებში , ,,იდეატორთა კლუბთან". კლუბი მონაწილეობდა ,,იდიატორთა კლუბის" პროექტების შემაჯამებელი შეხვედრაში და მოიპოვა გამარჯვება.

ამასთანავე, სკოლა ჩართულია ეკოსკოლების პროგრამაში „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე" და ახორციელებს აქტივობებს გარემოსდაცვითი მიმართულებით.
შემოქმედებითი მიდგომებით გამიირჩევა საბუნებისმეტყველო კათედრა, აღსანიშნავია ქიმიის მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი, თამაში- „შაში" ქიმიური ელემენტების შესწავლის მიზნით. კათედრას აქვს პროფესორ დავით სონღულაშვილის რეალურ- ვირტუალური ლაბორატორია, რომლის საშუალებით სკოლაში საინტერესო ფიზიკის გაკვეთილები ტარდება.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 120	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორიN1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლამ წარმოადგინოს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023 წლის 6 ოქტომბრამდე
ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლამ წარმოადგინოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2023 წლის 13 ოქტომბრამდე.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	1.სკოლამ წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა 2023 წლის პირველ ნოემბრამდე;

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		2. სკოლამ წარმოადგინოს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა 2023 წლის პირველ ნოემბრამდე; *3.* .სკოლამ წარმოადგინოს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა 2023 წლის 29 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლამ ვებ გვერდზე განათავსოს ინფორმაცია ქართულ ენაზე 2023 წლის 14 ოქტომბრამდე
ინდიკატორი N 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები,	*სკოლამ ვებ გვერდზე განათავსოს* ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია 2023 წლის 14 ოქტომბრამდე

	გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლას გაწერილი აქვს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები სხვადასხვა დოკუმენტში. მიეცა რჩევა, შექმნას სკოლის სტრუქტურული ერთეულების სქემატური განლაგების დოკუმენტი
ინდიკატორი N 3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას გასაჩივრების მექანიზმების აღმწერი ერთიანი დოკუმენტი
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	მიზანშეწონილია, სკოლამ შრომის უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვისათვის ხელშეკრულება გააფორმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთან.
ინდიკატორი N 3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	მიზანშეწონილია სკოლამ იზრუნოს საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრებაზე. მიეცა ასევე რჩევა, შექმნას საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N 4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის აღმწერი ერთიანი დოკუმენტი

ინდიკატორი N 4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშავოს და დაამტკიცოს მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების აღმწერი დოკუმენტი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*რჩევა*

ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალურ ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	გადაიხედოს კურიკულუმის ჩარჩოები და განახლდეს ქვემოთ მოცემული რჩევების გათვალისწინებით. ესთეტიკური აღზრდა სკოლას მიეცა რჩევა სახვითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში ცნებები, სახვითი ხელოვნების დარგები და სახვითი ხელოვნების ჟანრები გაწეროს ცალ-ცალკე. **ქართული ენა და ლიტერატურა** კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს სრულყოფასა და დახვეწას, კერძოდ: 1-ელ და მე-2 კლ. მთელი წლის თემატიკა აქვთ წარმოდგენილი, თემაში თითო კომპლექსურია სწორად გაწერილი ახალი სახელმძღვანელოების მიხედვით, კათედრას მიეცა რჩევა, სრულყოს არსებული კურიკულუმები ამ კლასებში.

		მე-3-მე-4 კლ.-მიეცა რჩევა, ყველა თემატურ ერთეულში დაიწეროს ცნებები. მე-6 კლასში 3 კომპლექსურია წარმოდგენილი, შევსებულია მხოლოდ ჰორიზონტალური ველი, სადაც კომპლექსურებია, დანარჩენი თემატური ერთეულები ცარიელია; დავალების პირობის გრაფაში მხოლოდ „ქუდია“ საჭირო, კრიტერიუმები-არა; ყველა კლასში ცნებების გრაფა უნდა გადავიდეს თემების შემდეგ. სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის ჩარჩოები გაწეროს სრულყოფილად. **ესთეტიკური აღზრდა** სკოლას მიეცა რჩევა სახვითი ხელოვნების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, VII, VIII და IX კლასებში, იქ, სადაც გაწერილია მხოლოდ ცნებები, გაწეროს შესაბამისი ქვეცნებებიც ***უცხო ენები*** მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩოებში(ინგლისური ენა,რუსული ენა) აისახოს ყველა სავალდებულო თემა. სამიზნე ცნებები გაიწეროს სტანდარტიდან სრულად, რაც შეესაბამება კონკრეტულ დავალებას. კონტექსტ მაგალითის
	(საბაზო საფეხური)	

		სვეტში ჩაიწეროს კონკრეტულად ერთი რესურსი, რომელიც მოსწავლეს გამოადგება დავალებაზე მუშაობისას მოდელის სახით.მაგ. სახელმძღვანელო გვ. ტექსტის სათაური, ან ელექტრონული ბმული. მნიშვნელოვანია ცნებები, მაგ. ჟანრი გაიწეროს სტანდარტიდან სრულად, რაც დავალებას შეესაბამება. ქვეცნებები განისაზღვროს საკითხთან და ქვესაკითხთან მიმართებით. კონტექსტ მაგალითში, სასურველია მიუთითოთ კონკრეტულად ერთი რესურსი, რომელიც მოსწავლეს გამოადგება დავალებაზე მუშაობისას მოდელის სახით. მაგ. სახელმძღვანელო გვ. ტექსტის სათაური, ან ელექტრონული ბმული.
ინდიკატორი N 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; (საშუალო საფეხური)	**ქართული ენა და ლიტერატურა** კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს სრულყოფასა და დახვეწას, კერძოდ: მე-8, მე-9 კლასებში ცნებები ყველგან უნდა დაიწეროს; რესურსებში ტექსტების გამეორება საჭირო აღარაა, მხოლოდ გვერდები მიეთითოს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

		საშუალო საფეხურზე საგნის ყველა სავალდებულო თემაში უმჯობესი იქნება საგნის ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს. **ქართული ენა და ლიტერატურა** კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს სრულყოფასა და დახვეწას, კერძოდ: მეათე კლასის ცარიელია; ცნებები ყველგან უნდა დაიწეროს; რესურსებში მიზანშეწონილია მიეთითოს გვერდები.
ინდიკატორი N 2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულიმონაცემების/ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	სკოლას მიეცა რჩევა ოფიციალურ დოკუმენტაციაში ასახოს, რომ მომავალში უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ: რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" (1.2.1.1; 1.2.1.2,; 1.2.1.3; 1.2.2.1.; 3.1.2.1; 3.4.1.1; 3.4.1.1.; 3.6.3.1; 3.6.3.4.), ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი"ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით, • გარკვეული ინდიკატორები 1.2.1,1; 1.2.2.1; 3.1.2.1; 3.6.3.1. შესაბამისობის გეგმაში მითითებული იყო როგორც ,,დასრულებული" - ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (დანართები) და დაადგინეს შესაბამისობა მითითებული ინდიკატორების შესრულების შესახებ.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი მისია და ხედვა, რომელიც ასახავს სკოლის ძირითად დანიშნულებას. იგი ორიენტირებულია სასკოლო გარემოს ფორმირებასა და განვითარებაზე, თუმცა სკოლა გეგმავს მისიისა და ხედვის რევიზირებას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე, რათა გაითვალისწინოს სკოლის საჭიროებები და საბოლოო სახით სრულყოს დოკუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ნამდვილად დაცულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. სასკოლო პროექტებით, ფორმალური თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული სხვადასხვა აქტივობებითა და ღონისძიებებით სკოლა ქმნის მნიშვნელოვან სოციო-კულტურულ სივრცეს.

სკოლის მთლიანი ტერიტორია შემოღობილია და კონტროლდება სათვალთვალო კამერებით. სკოლა არის წარმატებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ღია, ჯანსაღ, თანასწორ, აკადემიურ გარემოს თითოეული მოსწავლისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის განმარტებით, 2023-24 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა გადახედავს მისიასა და ხედვას, მის შემუშავებასა და დახვეწაში ჩართავს სასკოლო საზოგადოებას, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სასკოლო და სათემო საჭიროებები, ღირებულებები. ეს პროცესი უკვე დაწყებულია, სკოლა სხვადასხვა ინსტრუმენტებით უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას. მშობლებსა და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში. დოკუმენტებს საბოლოოდ განიხილავს პედ. საბჭო და შეითანხმებს სამეურვეო საბჭო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში ამჟამად არსებულ მისიისა და ხედვის დოკუმენტის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებას არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ, როგორც სკოლის დირექციასთან ინტერვიუში გამოიკვეთა , დაგეგმილია და უკვე მიმდინარეობს რევიზირებისა და დოკუმენტის სრულყოფის პროცესი, სადაც გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სრულყოფილი დოკუმენტის შემუშავების შემდეგ, სკოლა გეგმავს მისიისა და ხედვის დოკუმენტი გამოაქვეყნოს როგორც სკოლის ვებ გვერდზე, ისე სკოლის საინფორმაციო დაფაზე. ამჟამად საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია არსებული მისია და ხედვა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 (15/09/2005) - "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა;
- მიმდინარე სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი, ხოლო **შესაბამისობის გეგმაში კი ჩანს, რომ სკოლას დამტკიცებული და გადმოგზავნილი აქვს ეს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პროექტი სრულიად ორიენტირებულია მოსწავლეზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური, ფიზიკური შესაძლებლობები და ინტერესები. სკოლის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სტრატეგიული გეგმის პროექტში გაწერილია ისეთი ამოცანები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე სრულყოფს და დაამტკიცევს შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარების გეგმას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 6 ოქტომბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

3. სკოლას აქვს 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს , როგორც ადამიანური რესურსის, ასევე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას და ეფუძნება სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ გაკეთებულ განვლილი სასწავლო წლის ანალიზს. ერთწლიანი გეგმა არ ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას, რადგან სკოლას არ ჰქონია გასულ წლებში სტრატეგიული განვითარების გეგმა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 13 ოქტომბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტულ დროში განხორციელებადი, შედეგზე ორიენტირებული აქტივობები. ყოველი მიზნისთვის დადგენილია შესრულების ვადა და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. კათედრებზე გადანაწილებულია შესაბამისი დროში გაწერილი დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწ. წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- 2023-2024 სასწ. წლის ერთწლიანი სამოქმდო გეგმის პროექტი
- 2023-2030 წ. სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი
- ზეპირი ინტერვიუ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, ხოლო შესაბამისობის გეგმაში კი ჩანს, რომ სკოლას დამტკიცებული და გადმოგზავნილი აქვს ეს დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმისა და მისი მეთოდოლოგიის ამ ეტაპზე არ არსებობის გამო, სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება.

3. სკოლა გეგმავს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, დამტკიცების შემდეგ, გაასაჯაროოს.

4.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს სკოლა გაითვალისწინებს შემდგომ დაგეგმვაში

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, კათედრები(6 კათედრა). სოფელ გუთურის საჯარო სკოლის წესდებაში მოცემულია ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების(მრჩეველთა საბჭოს გარდა) ფუნქცია-მოვალეობები. სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ზემოთ ნახსენები სტრუქტურული

ერთეულების სქემატური დოკუმენტი(სქემატური ნახაზი, სადაც ჩანს, სტრუქტურული ერთეულების იერარქიული განთავსება)ამასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა. სკოლაში არსებობს ზემოხსენებულ სტრუქტურულ ერთეულთა მიერ ნაწარმოები დოკუმენტაცია(სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოსა და მრჩეველთა საბჭოს ოქმები, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები, დირექტორის მ/შემსრულებლის მიერ გამოცემული ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტები და ამ აქტებით დამტკიცებული მარეგულირებელი ტიპის წესები, დირექცია - ადმინისტრაციის წევრების სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი(დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით). სკოლას არ აქვს დისციპლინური წარმოების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.ზემოთ მოცემული სტრუქტურული ერთეულებისა და პირების მიერ ნაწარმოები დოკუმენტაციის გათვალისწინებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ მათ შორის განაწილებულია ფუნქცია-მოვალეობები(მაგალითისთვის გამოდგება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება-შეთანხმება-დამტკიცების ამსახველი დოკუმენტაცია, მრჩეველთა საბჭოს მიერ განხილული საკითხები და გაცემული რეკომენდაციები, კათედრების ანგარიშები, დირექტორის მიერ გამოცემული აქტები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებები,
- სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს და მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის და კათედრების ოქმები და ანგარიშები,
- სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები,
- მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები,
- ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ გუთურის საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტიანია, რის გამოც დირექტორის მ/შემსრულებელს არ ჰყავს მოადგილე. დირექციას წარმოადგენს დირექტორის მ/შემსრულებელი და ბუღალტერი. ადმინისტრაცია შედგება საქმისმწარმოებლის და ბიბლიოთეკარისაგან(მატერ.ტექ.უზრ.კოორდინატორი არ ჰყავთ).ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული ჰყავთ სკოლის ექიმი, დამლაგებელი და დარაჯი. პერსონალის პირადი საქმეები სრულად არის მოწესრიგებული. პერსონალით და არსებული სტრუქტურული ერთეულების მიერ კანონით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელების საფუძველზე სკოლის დირექცია ახერხებს სკოლის მართვას მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა გათვალისწინებით. სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი რომლის მიხედვითაც **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან კათედრების წარმომადგენლები. სკოლას აქვს ამ ჯგუფის წევრებისა და კათედრების წარმომადგენლების ურთიერთდასწრების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა პერსონალის შერჩევისას იცავს კანონის მოთხოვნებს. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში კადრი შეირჩევა კონკურსის წესით. ამის დამადასტურებელია სკოლის ექიმის, სპეციალური მასწავლებლის და დაწყებითი კლასების პედაგოგის შერჩევის ფაქტების შესაბამისი დოკუმენტაცია

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას არ ჰყავს უსტატუსო მასწავლებელი(ყველა მასწავლებელი სტატუსიანია), სკოლაში დასაქმებული ყველა პირი(მათი პირადი საქმეების მონაცემების გათვალისწინებით) კვალიფიცირებული კადრია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გადაწყვეტილებები მიიღება დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია შემუშავებულია და გაზიარებულია სკოლის პერსონალის მიერ. როგორც სკოლა აღნიშნავს, სწორედ ამ ღირებულების დამსახურებაა იქ ფაქტი, რომ აქამდე არ დამდგარა დისციპლინური წარმოების საჭიროება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. აღნიშნული ნორმა სკოლას ბოლოს გამოყენებული აქვს 2022 წლის 26 დეკემბრის N1-113 ბრძანებით, როცა პერსონალიდან რამდენიმე პირს გადასცა ფულადი ჯილდო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლასა და დასაქმებულ პირებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სკოლის შინაგანაწესი.
- სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ბრძანება.
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დასწრების ოქმები.
- სტრუქტურული ერთეულების მიერ ნაწარმოები დოკუმენტაცია.(ოქმები)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი. ასევე, სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რის დროსაც გაიცემა რჩევები და რეკომენდაციები(მათ შორის წერილობითი). სკოლაში გაკვეთილზე დასწრების შედეგად მიღებული უკუკავშირი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც საჭიროებების დადგენის მექანიზმი. დანარჩენი პერსონალის შეფასება-განვითარების პრაქტიკა ან რაიმე მექანიზმი სკოლაში არ არსებობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.კათედრების წევრების, მასწავლებლების, დირექტორის მიერ გაცემული რეკომენდაციების(უკუკავშირის) საფუძველზე, მასწავლებლებთან დაკავშირებით, სკოლას იდენტიფიცირებული აქვს საჭიროებები. სკოლას 2023/24 სასწ.წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს ტრენინგები(მათ შორის ფასიანი ტრენინგები, რისთვისაც ბიუჯეტის შესაბამის მუხლში გაწერილი აქვთ 500 ლარი) კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო ინტეგრაციისათვის დანარჩენი საგნობრივი მიმართულებებით, ასევე, კომპლექსური დავალებების შემუშავება-დანერგვა-ანალიზის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის კარიერული ზრდისათვის სკოლა ქმნის შესაბამის პირობებს. სკოლა აღჭურვილია მაღალი ხარისხის კომპიუტერული ტექნიკით, ელექტრონული რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისათვის. სკოლამ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო ბუღალტრისათვის ფასიანი ტრენინგის ორგანიზება, ასევე, იდენტიფიცირებული აქვთ საჭიროებები, რისთვისაც გამოყოფილი აქვთ ფინანსური რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო თანამშრომელთა სამუშაო პროცესში ინტეგრაციისათვის. ეს პროცესი რომ ინტეგრირებულია, ჩანს სკოლაში გამოფენილ ერთობლივ ნამუშევრებში, განხორციელებულ პროექტებში(რომელშიც მთელი სკოლის ჩართულობა იგრძნობა). სკოლას შექმნილი აქვს საინტერესო ნაშრომი თავისი ისტორიის შესახებ, რომელიც ღია სივრცეშია განთავსებული და განვითარებადი და განახლებადია. სკოლაში აქვთ ახალი თანამშრომლის ტრანზიციის კულტურა და პრაქტიკა, თუმცა დოკუმენტირებული არ არის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ახალისებს წარმატებულ ინიციატივებს. მასწავლებელთა თხოვნის საფუძველზე სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლას სტუმრობენ წარმატებული ადამიანები. მასწავლებელთა ხელმძღვანელობით სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები(3 კლუბი აქვთ: ლიტერატურული, სამეწარმეო საქმიანობისა და ეკოკლუბი, რომლის მუშაობის ფარგლებში სკოლაში შექმნილია ეკოკომიტეტი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.

- კლუბების დებულებები, დოკუმენტაცია.
- სკოლის ისტორიის დოკუმენტი.
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა პროცესულია, რაც ნათლად ჩანს საგნობრივი ჯგუფების კათედრების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში. სასწავლო წლის ბოლოს ჯამდება წლის დასაწყისში დაგეგმილი აქტივობების შედეგები, სკოლა ახდენს ხარვეზის იდენტიფიცირებას და პრევენციული ზომების გატარებას. ეს პროცესი ძირითადად წარიმართება ახალი სასკოლო გეგმის პროექტის შემუშავებისას, რაც ნათლად გამოჩნდა ვიზიტის პერიოდში, როცა სკოლამ წარმოგვიდგინა 2023/24 სასწ.წლის სასკოლო სასწავლო და სამოქმედო გეგმების პროექტები და აღწერა მუშაობის პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი და ამ დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმის პროექტი. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი(რომელსაც ახორციელებს ხარისხის განვითარების ჯგუფი). მოქმედ შინაგანაწესში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლას შერჩეული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები, ყველა კლასს ჰყავს დირექტირის მ/შემსრულებლის ბრძანებით განსაზღვრული დამრიგებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია გასაჩივრების მექანიზმი. შინაგანაწესში მითითებულია, რომ მასწავლებელთა შემთხვევაში გამოყენებული იქნება ამ შინაგანაწესის ნორმები და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის N167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, თუმცა სკოლას არ აქვს დისციპლინური წარმოების პრაქტიკა(შემთხვევის უქონლობის გამო).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლის მოსწავლეების მშობელს/წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში ფიქსირებულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ანგარიშები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

- შინაგანაწესი
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.
- ხელშეკრულებები(სკოლასა და მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის).
- ზეპირი ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით, სკოლა იყენებს როგორც შიდა, ისე გარე მექანიზმებს. შიდა მექანიზმად განიხილება სამუშაო შეხვედრები მშობლებთან, სკოლის პერსონალთან, სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე, მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მოსმენა და განხილვაში მონაწილეობის მიღება. გარე მექანიზმად გამოიყენებენ ვებგვერდს, რომელიც ახალი შექმნილია, სადაც განათავსებენ გარკვეული სახის ინფორმაციას, ასევე იყენებენ სოციალურ ქსელსა და ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში ფუქნციონირებს სამურვეო საბჭო, რომელშიც თანაბარი რაოდენობითაა არჩეული მშობელი და მასწავლებელი, ასევე სამეურვეო საბჭოს წევრია საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტიც პარიტეტის საფუძველზეა შექმნილი.
სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც, სხვა წევრებთან ერთად, წარმოდგენილია მოსწავლე. ხსენებული სტრუქტურული ერთეულების მიერ რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი და დამხმარე დოკუმენტების შემუშავება-შეთანხმება და დანერგვა, რაც მტკიცდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური ინფორმაციით და ინტერვიურების მეშვეობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ და facebook გვერდები.
- მშობელთა კრებები/შეხვედრების ოქმები
- დირექტორის, სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს და მრჩეველთა საბჭოს ოქმები და ანგარიშები.
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის რეგულაციები შეტანილი აქვთ შინაგანაწესში. განსაზღვრული ჰყავთ უფლებამოსილი პირი, რომელიც აკონტროლებს შიდა და გარე პერიმეტრს, სადაც განთავსებულია ვიდეოკამერები. სკოლა უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლის ტერიტორიის დაცვას ასევე უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სკოლას ჰყავს ექიმი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საჭიროების შემთხვევაში, სკოლას შეუძლია პირველადი სამედიცინო სახის დახმარების გაწევა. სკოლის ტერიტორია კაპიტალურად არის შემოღობილი. სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით დამონტაჟებულია უსაფრთხოების სისტემა, რომელიც საჭიროებს სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას. ამჯერად სკოლას არ აქვს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლას დაწყებული აქვს პროცედურები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 2022 წელს, სკოლას არ აქვს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, ამასთან დაკავშირებითაც არსებობს მიწერილობა შესაბამის სამსახურთან. სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას მიეცა რჩევა შრომის უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვისათვის ხელშეკრულება გააფორმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთან(აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი). **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის პირველ ნოემბრამდე) (სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა წარმოადგინოს 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2.საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება შინაგანაწესის ნორმების მიხედვით. ასევე, ამ მიზნით სკოლას გამოყოფილი ჰყავს მორიგე მასწავლებლები, უფლებამოსილი პირი, სკოლის დარაჯი. სკოლას სოციალური პროექტის ფარგლებში(სახელმწიფო პროგრამა) დასაქმებული ჰყავს პირი, რომელიც ასევე მეთვალყურეობს სკოლაში უცხო პირთა შესვლა-გამოსვლას და წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.ფსიქოლოგიური და ემოციურად უსაფრთხო გარემოს დაცვისათვის სკოლა იყენებს შიდა რესურსს(მანდატური არ ჰყავთ). აღნიშნულ გარემოს იცავს დირექცია, კლასის დამრიგებლები(სადამრიგებლო პროგრამის მეშვეობით), სკოლის ექიმი, უფლებამოსილი პირი და სპეციალური მასწავლებლები(2 სპეც.მასწავლებელი ჰყავთ).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს დირექცია, იგი ახორციელებს კონტროლს დამლაგებლების საქმიანობაზე. ამავე მიზნით, სკოლაში, სახელმწიფო სოციალური პროგრამის ფარგლებში, დასაქმებულია პირი, რომელიც დამლაგებლებს ეხმარება შენობის და ეზოს დასუფთავებაში. ვიზიტის დროს შესანიშნავად იყო მოწესრიგებული შენობაც და ეზოც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.პერსონალურ მონაცემებთან მუშაობს საქმისმწარმოებელი და სკოლის დირექტორი, ასევე კლასის დამრიგებლები. პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი(ბრძანებით არის განსაზღვრული). სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელშიც გაწერილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის თანახმად, სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამსახურეობრივ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, სკოლის საქმისმწარმოებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს მოპოვებული ინფორმაცია, გარდა კანონით გათვალიწინებული შემთხვევებისა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7.სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების პრაქტიკა ან რაიმე მარეგულირებელი დოკუმენტი, თუმცა ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელსაც გასული სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული აქვს სხდომები, რომელშიც არის ანგარიში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ბრძანება.
- საქმისწარმოების წესი.
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება.

- მრჩეველთა საბჭოს ოქმები.
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ გუთურის საჯარო სკოლა განთავსებულია მისსავე სარგებლობაში მყოფ, 11257.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. სკოლის სასწავლო კორპუსი ექსპლუატაციაში შევიდა 2022 წელს. შენობა მაღალი სტანდარტის მქონე, ორსართულიან თანამედროვე ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. ფასადი და შიდა ინტერიერი კარგად არის შენახული, გააჩნიათ საკმარისი რაოდენობის საკლასო ოთახები და სასკოლო ინვენტარი, სკოლაში არის დირექციის, მასწავლებლებისთვის, უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცე. ყოველ სართულზე არის სველი წერტილი. ცალკე სივრცეშია განთავსებული ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი(რომელიც სრულად არის აღჭურვილი, გააჩნიათ მაცივარი, სველი წერტილი, სამედიცინო კარადა და ტახტი, მოძრავი შირმა, რომლითაც გადატიხრულია სამედიცინო ტახტის მხარე), რესურსოთახი და საბუნებისმეტყველო საგანთა ლაბორატორია(ფიზიკის ახალი ლაბორატორია აქვთ, პროექტის ფარგლებში მოგებული). ორივე სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, რომლითაც სარგებლობს როგორც სკოლის პერსონალი, ისე სსსმ მოსწავლეები. სკოლა სრულად არის აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით, აქვთ საკმარისი რაოდენობის პროექტორები, თუმცა ბიბლიოთეკაში არ აქვთ მხატვრული ლიტერატურის ფართო არჩევანი(ძალიან მწირი რაოდენობის წიგნადი ფონდი აქვთ). შეიმჩნევა თვალსაჩინოებათა სიმცირეც. სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი. მაგრამ აქვს ისეთი შიდა სივრცეები, სადაც მართავენ მხატვრულ ღონისძიებებსა და ატარებენ სპორტის გაკვეთილებს უამინდობაში. სკოლას აქვს აღჭურვილი გარე სპორტული მოედანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის შიდა და გარე ინფრასტრუქტურა, ასევე, მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. კომპიუტერული ლაბორატორია ღიაა და გამოკრული აქვთ ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი. ბიბლიოთეკა ასევე ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. როგორც აღვნიშნეთ, სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო კათედრაზე ვირტუალური ლაბორატორია, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და შესაბამისი პროფილის მასწავლებლებისათვის.სკოლაში შექმნილია სრულად ინკლუზიური გარემო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის შიდა და გარე ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია. სასწავლო შენობას აქვს კეთილმოწყობილი პანდუსი, შენობაში არსებობს თავისუფალი გადაადგილების საშუალება, არის ბევრი თავისუფალი სივრცე, რომელიც გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისა და დეკორატიული მცენარეების განთავსებისათვის(ეს სივრცეები კარგ სოციო-კულტურულ გარემოს ქმნის). შენობა აღჭურვილია ლიფტით. აქვთ რესურსოთახი, რომელიც ასევე სრულად არის აღჭურვილი. შენობის პირველ სართულზე განთავსებული აქვთ ლაბორატორია(ფიზიკის) მოსწავლეთა საინტერესო ნამუშევრებით. საკლასო ოთახები კეთილმოწყობილი
და ნათელია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი(ამ ფუნქციით იყენებენ სივრცეს), სკოლას შექმნილი აქვს გარემო, რომელიც განაპირობებს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ეზო მოვლილია, სადაც გამოყოფილია სივრცე დასვენებისათვის. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელსაც იყენებს თემიც. შენობა სრულად ადაპტირებულია, როგორც აღვნიშნეთ, შენობაში ბევრი თავისუფალი ადგილია, რომელშიც განთავსებულია მოსწავლეთა ნაშრომები, მათივე გამოყვანილი დეკორატიული მცენარეები. სკოლაში ფუნქციონირებს 3 სასკოლო კლუბი. მათ შორის, მეწარმეობის კლუბის მიერ მოგებული გრანტის ფარგლებში განხორციელებულია საინტერესო პროექტი „მზის ჩირი“, რომლის დანადგარიც განთავსებულია სკოლის ეზოში, რითაც სასკოლო თემიც არის დაინტერესებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სოფელ გუთურის საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტიანია (96 მოსწავლე). სკოლას გააჩნია სასწავლო რესურსი კურიკულუმების განხორციელებისათვის. ამ რესურსში მოიაზრება მდიდარი ბაზა კომპიუტერული ტექნიკის მიმართულებით, ასევე, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების საკმარისი ოდენობა, ფიზიკის რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია, ელექტრონული რესურსები,
თუმცა შეინიშნება ბიბლიოთეკაში მხატვრული ლიტერატურის სიმწირე(რის გამოსწორებასაც სკოლა აპირებს მომავალი წლების განმავლობაში).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზიტის ფარგლებში რესურსების ადგილზე დათვალიერება
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის კომპიუტერების ლაბორატორია აღჭურვილია 12 ლეპტოპით, კომბინირებული სკანერით და პროექტორით. ამას გარდა, დირექციის და ადმინისტრაციის ოთახებში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, სკოლაში ტექნიკის ნაკლებობა არ იგრძნობა. რესურსოთახში განთავსებულია პროექტორი, რომელსაც იყენებენ საჭიროებისამებრ. ამას გარდა, სკოლაში კიდევ აქვთ 2 პროექტორი, როლებსაც იყენებენ მასწავლებლები. სკოლას მიეწოდება უწყვეტი ინტერნეტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეების, ისე დანარჩენი სასკოლო საზოგადოებისათვის. შემუშავებული აქვთ წესი და განრიგი, რაც იძლევა საშუალებას დაბრკოლების გარეშე ისარგებლონ კლასებმა ლაბორატორიით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოებისათვის გამოყენებულია დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემა. სკოლას აქვს მატერიალურად შესული

კორესპოდენციის/განაცხადის ელექტრონულად რეგისტრაციის პრაქტიკა. ასეთი ფორმით შესული დოკუმენტაციის რეგისტრაციის პროცედურები გაწერილია საქმისწარმოების წესში. დირექტორის მიერ გამოცემული ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტები აიტვირთება eflow-ში, ასევე, ხდება მისთვის ნომრის მინიჭება და ტარდება ბრძანებების ჟურნალში. ელ.ფოსტებზე შემოსული დოკუმენტაცია(წერილები) გადამისამართდება შესაბამის პირთან. პასუხის მომზადებაც ასევე ელექტრონულად ხდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემას-eflow. სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - guturi@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის პროფილში(EMIS) სრულად არის ასახული მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობის, კლასები, მასწავლებლების, პერსონალი თაობაზე, ასევე, ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სსიპებთან(ესიდა, ემისი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Eflow-სა და mes.gov.ge-ზე ნაწარმოები დოკუმენტაცია/კორესპოდენციები
- Eschool-ის ბაზის ვიზუალური დათვალიერება.
- სკოლის დირექტორის ანგარიშები სამეურვეო საბჭოსთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ გუთურის საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს ვებ გვერდი მუშაობდა სატესტო რეჟიმში. ამჯერად, სკოლის ვებ გვერდი ტექნიკურად გამართულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის განთავსებული აუცილებელი დოკუმენტაცია. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა ვადები, ვებ გვერდზე დოკუმენტაციის ატვირთვასთან დაკავშირებით. აქვე განთავსდება სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები. სკოლა აქტიურად იყენებს facebook-ის პროფილს(აქვთ ე.წ. ჩატი), ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს სამართლებრივი და მორალური ვალდებულება გაავრცელოს გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, ეგზავნებათ მათ პირადად, გამოქვეყნებულია საინფორმაციო დაფაზე, ან ვრცელდება

ოფიციალური სოციალური ქსელის კედელზე. ყველა ინფორმაცია შეთანხმებულია სკოლის ადმინისტრაციასთან. ვიზიტის დროს სკოლამ დააფიქსირა მზაობა აღნიშნული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.როგორც აღვნიშნეთ, სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს. მასზედ განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესახებ. დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დავადგინეთ, რომ სკოლა აქტიურ კომუნიკაციაშია საზოგადოებასა და გარშემო მყოფ თემთან. ითვალისწინებენ საზოგადოების შეხედულებებს და მოსაზრებებს სასწავლო პროცესის/სასკოლო ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მოქმედი ვებ.გვერდი ახალი შექმნილია. სკოლაში სასწავლო პროცესი მინდინარეობს სახელმწიფო ენაზე(ქართულად) და ინფორმაციაც განთავსდება ქართულ ენაზე. ვიზიტის დროს სკოლას ვებ გვერდზე არ ჰქონდა განთავსებული ინფორმაცია.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 14 ოქტომბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

5.ამ ეტაპზე სკოლას მსგავსი სახის ინფორმაცია არ აქვს განთავსებული, თუმცა, მას შემდეგ, რაც სკოლა დაამტკიცებს 2023/24 სას.წლის სასკოლო გეგმას, სტრატეგიული განვითარების გეგმას და წლიურ სამოქმედო გეგმას, სხვა საჯარო ინფორმაციასთან ერთად განათავსებს ვებ გვერდზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 14 ოქტომბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....
.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ფინანსდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერის მიხედვით. ამას გარდა, სკოლას ერიცხება მასწავლებელთა სტატუსის დანამატი, უფლებამოსილი პირის სარგო, სსსმ მოსწავლეების სახსრები(9სსსმ მოსწავლე ჰყავთ). ამ თანხებით სკოლა შეძლებისდა გვარად ქმნის პირობებს სასწავლო პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის, თუმცა ზამთრის პერიოდისათვის ვერ ახერხებს კომუნალური ხარჯების სრულად დაფარვას და ითხოვს სამინისტროსაგან ფინ.დახმარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შედგენილია ამავე წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტით. შესყიდვების

გეგმაში ცვლილება ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი(ბუღალტერი). ყოველი კალენდარული წლის დეკემბერში სკოლის დირექტორი ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს ბიუჯეტის თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი
- 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა(ბრძანება და დანართი)
- დირექტორის ბრძანება ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ გუთურის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები, რომლებითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უფლებების დაცვა. მთავარი ასეთი დოკუმენტი არის შინაგანაწესი, რომელიც მიიღება სასკოლო საზოგადოებაში განხილვის და ფართო კონსენსუსის გზით. ამ დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეთა მიმართ სკოლის წარმომადგენელთა მხრიდან შესაძლო ადმინისტრაციული გადაცდომის შემთხვევაში რა სახის პროცედურული წარმოება და სახდელის შეფარდებაა შესაძლებელი. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის რეფერირების წესი, სადაც ასევე გაწერილია მოსწავლის უფლებები. მოსწავლის ინტერესებზე მორგებული და ესგ-დან გამომდინარე სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე დაცულია მოსწავლეთა უფლებები. ამას გარდა, მოსწავლეს უფლება აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით, რაც ასევე დარეგულირებულია ამ უკანასკნელთა ინტერესების გათვალისწინებით(კომპიუტერული ლაბორატორიით, ვირტუალური ლაბორატორიით და სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები). ვიზიტის დროს სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელმა აგვიხსნა, რომ სკოლის პრაქტიკაში არ ყოფილა მოსწავლეთა უფლებების ხელყოფის ფაქტები და შესაბამისი სახის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების აუცილებლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.დოკუმენტაცია, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებების დამცავი მექანიზმები, შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. აღნიშნული მოდელი(დოკუმენტაციის პროექტების ერთობლივი წესით შემუშავება) ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ რეგულაციები იყოს გამჭირვალე, არადისკრიმინაციული და სანდო. მაგალითისათვის, შინაგანაწესის შემუშავება/დამტკიცების პროცესი გამჭირვალეა, მასში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, ბიბლიოთეკით/კომპ.ლაბორატორიით სარგებლობის წესიც ასევე მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით არის შედგენილი, რათა ყველასათვის უზრუნველყოფილი იქნას რესურსების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლისათვის უსაფრთხო და სასწავლო პროცესის ხელშემწყობი გარემოს შექმნისათვის, ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების და მუდმივად გაუმჯობესებისათვის. ვალდებულებები და უფლებები ასევე კონკრეტიზებულია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა მიმართებითაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოფელ გუთურის საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- კომპიუტერული ლაბორატორიით და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ხელშეკრულებები(სკოლასა და მშობელს შორის)
- ზეპირი ინტერვიუ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სოფელ გუთურის საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტიანია. ვიზიტისას სკოლას გააჩნდა ყველა ფინანსური კლასი. სკოლას გააჩნია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის პრაქტიკა. ამ საკითხის რეგულირებისათვის იყენებენ საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესს. სკოლას არ აქვს საკუთარი მარეგულირებელი დოკუმენტი. მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს რაიმე დამატებითი მოთხოვნების გარეშე, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ შემოტანილი სავალდებულო დოკუმენტაციის საფუძველზე. საფეხურის დაძლევა წარმოებს პედ.საბჭოს წლიური ანგარიშის(შემაჯამებელი ოქმის) საფუძველზე გამოცემული დირექტორის ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტით, ხოლო მობილობა ხორციელდება მიმღები სკოლის მოთხოვნის საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.Eschool-ის ბაზაში სკოლას მოწესრიგებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევა, მობილობის, სტატუსის შეჩერება აღდგენის ფორმალური მხარე. პარალელურ რეჟიმში დავათვალიერეთ მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც ასევე მოწესრიგებულია იგივე საკითხები. სკოლას ამ დრომდე არ ჰქონია შემთხვევა, გაესაჩივრებინათ მისი გადაწყვეტილებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ შეთავაზებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სოფელ გუთურის საჯარო სკოლა საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს სამივე საფეხურზე. ფასიან მომახურებას არ ეწევა(არც ფართები აქვს ამ მიზნით გაიჯარებული). ზემოთ ხსენებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის შესახებ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებას და დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდებათ მშობელთა კრების, საინფორმაციო შეხვედრების, სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული დოკუმენტაციის და სოციალური ქსელის მეშვეობით. სკოლას, თავის ახლად შექმნილ ვებგვერდზე დაწყებული აქვს შესაბამისი ინფორმაციის ატვირთვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა მშობლებს და დაინტერესებულ პირებს აწვდის გადამოწმებულ ინფორმაციას. სკოლის ოფიციალურ გვერდზე მასალების განთავსებისათვის პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელიც ამ საკითხს აგვარებს დირექციასთან შეთანხმებით. ინფორმაციის გავრცელებისათვის ასევე იყენებენ სოციალურ ქსელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- პედსაბჭოს ოქმები
- დირექტორის მ/შემსრულებლის ბრძანებები
- Eschool-ის ბაზა
- ზეპირი ინტერვიუ(ვიზიტისას)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლეთა ტრანზიციის მექანიზმის დოკუმენტის პროექტი, რომლის დამტკიცებასაც აპირებენ სასწავლო წლის დაწყებამდე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული ჰყავთ პირველკლასელთა ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირი.

რადგან სოფელ გუთურის სკოლა მცირეკონტიგენტიანია, ტრანზიციას ახდენს კლასის დამრიგებელი(ხელშემწყობ გარემოს ქმნის სკოლის დირექცია).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. ამ მხრივ მთავარი მექანიზმი არის სადამრიგებლო პროგრამის განხორციელება. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი(კლასკომპლექტი არ აქვთ).

სკოლას განასაკუთრებული ძალისხმევა დასჭირდა პანდემიის შემდგომი პერიოდის რისკების მართვისათვის, რაც ძირითადში შეეხებოდა მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან შეგუების მიმართულებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს განემარტებათ თავიანთი უფლებების შესახებ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიმართულებით. მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია სემესტრული და წლიური ქულის ამაღლების შესაძლებლობისა და პირობების

შესახებ(ასეთი შემთხვევები არ ჰქონიათ). მოსწავლეები სათანადო კონსულტაციას ღებულობენ კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების სესრულებასთან, ასევე, შეფასების რუბრიკების და სქემების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერების შესახებ მოსწავლეები ინფორმირებულები არიან. სემესტრული/წლიური ქულის გაპროტესტების, ასევე, საგნის დაუძლევლობის შემდეგ საშემოდგომო გამოცდებთან დაკავშირებით მოსწავლეებს უწევენ შესაბამის დახმარებას. მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე იგზავნება ფოსტით, მოთხოვნის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სოფელ გუთურის საჯარო სკოლას აქვს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება, რომელიც მოიცავს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს სამეწარმეო კლუბის მიერ განხორციელებული პროექტი „მზის ჩირი“, რომელიც დამუშავებული იქნა მოსწავლეთა ფართო ჩართულობით, დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, ხოლო განხორციელებული იქნა მთელი სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით. ამ პროექტის პროდუქტი გახლავთ ხილის გამოსაშრობი მოწყობილობა, რომელიც ეკოლოგიურად სუფთაა(მოიხმარს მზის ენერგიას, არ საჭიროებს ელ.დენს) და საინტერესოა არა მარტო სკოლის, არამედ მთელი თემისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში, სადაც ხდება სასკოლო აქტივობების ამსახველი მასალის განთავსება, ასევე, დასწრებითი შეხვედრების ფორმატში შესაძლებელია რეკომენდაციების და რჩევების მიღება. ამ მხრივ გუთურის სკოლას არ აქვს რაიმე დოკუმენტი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა გაცემული რჩევის ან რეკომენდაციის მიხედვით რაიმე მომსახურების შეცვლის ფაქტის დამადასტურებელი მაგალითის მოყვანა, თუ არ ჩავთვლით მთელი სასკოლო საზოგადოების მონდომებას, ჰქონდეთ სპორტული დარბაზი(საამისოდ ეძებენ სპონსორებს).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროექტი „მზის ჩირი“
- მოსწავლეთა ტრანზიციის დოკუმენტის და ფორმების პროექტები.
- ზეპირი ინტერვიუ სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2022/23 სასწ.წლის გეგმაში არ ყოფილა გათვალისწინებული პროფესიული ორიენტაციის საათები. მიუხედავად ამისა, სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს სხვადასხვა პროფესიის წარმატებულ ადამიანებთან, რომლებსაც სკოლაშიც იწვევენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან შესახვედრად. სკოლა თანამშრომლობს პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან. სამეწარმეო კლუბი ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეებს პროფესიულ ორიენტაციაში. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან ზოგად ინფორმაციას მათთვის საინტერესო პროფესიების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.მოსწავლეებმა იციან, რომ სავალდებულო ზოგადი განათლება მოიცავს დაწყებით და საბაზო საფეხურს. საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეუძლია სწავლა გააგრძელოს შემდეგ საფეხურზე/ან შეისწავლოს პროფესია/ან შეისწავლოს პროფესია და მასთან ერთად მიიღოს სრული ზოგადი განათლება/უმაღლესი განათლება. სკოლა დროულად აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს გაწეული მომსახურების შეფასების პრაქტიკა.

იდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ დირექციასთან

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2022/23 სასწ.წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლეთათვის მომსახურების მიწოდების მექანიზმი, რაც ხორციელდება მათი საჭიროებების დადგენის შესაბამისად. სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს. გასულ წელს სკოლას ჰყავდა 9 სსსმ მოსწავლე. ამ მოსწავლეებთან მუშაობდა 2 სპეციალური მასწავლებელი. ამ ეტაპზე ჰყავთ 7 სსსმ მოსწავლე. სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ინფორმაციით, შესაძლებელია 2 მოსწავლე თავიდან შეფასდეს შესაბამისი გუნდის მიერ სტატუსის ცვლილების მიზნით. სკოლას გააჩნია სრულად ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი და სათანადოდ აღჭურვილი რესურსოთახი(სადაც საკუთარი პროექტორი და 2 ერთეული ლეპტოპიც აქვთ). ყველა მათგანის საჭიროების დადგენას ახდენს ინდივიდუალურად შექმნილი ისგ ჯგუფი(9 ისგ ჯგუფი). მათთვის შექმნილი იყო ინდივიდუალური გეგმები ყველა საგანში. ხორციელდებოდა შიდა მონიტორინგი(სკოლაში ინახება საამისო მტკიცებულებები ოქმების სახით).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სოფელ გუთურის სასკოლო საზოგადოება მხარს უჭერს სსსმ მოსწავლეთა სასწავლო გარემოში ინტეგრაციის პროცესს. როგორც ავღნიშნეთ, ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული(ლიფტიც აქვთ), რესურსოთახი აღჭურვილია, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. სკოლის ექიმი ჩართულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროების განსაზღვრასა და ადმინისტრირების პროცესში. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია თანამშრომლობს მასწავლებლებთან და სსსმ მოსწავლეების მშობლებთან მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნისა და წინსვლა/განვითარებისათვის(სსსმ მოსწავლები, ასაკის შასაფერისად, ყველა სასკოლო პროექტში არიან ჩართულები).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვიზუალური დათვალიერება
- ისგ ჯგუფების შექმნის ბრძანებები
- ინდივიდუალური გეგმები
- ზეპირი ინტერვიუ

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ამ ეტაპზე სოფელ გუთურის სკოლას მოსწავლეებისათვის არ აქვს შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სერვისი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ აქვთ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
3.სკოლას არ აქვს ფასიანი მომსახურება, არც ფართი აქვთ ამ მიზნით გაიჯარებული.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....
.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება(მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია). თავად კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. გათალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, კურიკულუმი მორგებულია სსსმ მოსწავლეებზე. მასწავლებლების, მოსწავლეების წინადადებების გათვალისწინებით, შემუშავდა სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმები , რომელიც შეესაბამება სკოლის მისიას და ეროვნულ სასწავლო მიზნებს. სასკოლო სასწავლო გეგმა განსახილველად გადაეცემა სკოლის სამეურვეო საბჭოს და შეთანხმების შემდეგ დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავება მოიაზრება სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესად, რომელშიც მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელები, რაც, თავის მხრივ მოიაზრებს მათი ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ქართული ენის და ლიტერატურისა და უცხო ენების**

კათედრებზე ხდება წინარე გამოცდილების გაზიარება . მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხდება საგნობრივი სასწავლო გეგმის შედგენა,რომელშიც ასახულია გზა ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მათ შორის, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ კურიკულუმები, რომლებიც გამომდინარეობს საფეხურის მისიიდან, ითვალისწინებს სწავლა-სწავლების საგანმანათლებლო პრინციპებს და ამზადებს მოსწავლეს სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულებისაკენ. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლთან. ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვით, ინტერვიუს და ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალებით იკვლევენ მოსწავლეთა, მშობელთა და თემის ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს და ითვალისწინებენ კურიკულუმის შემუშავების დროს, ასევე ითვალისწინებენ წინა წლებში დამუშავებულ ინფორმაციას, მშობლებთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან მუშაობისას მიღებულ გამოცდილებას. **ფიზიკური აღზრდის** მასწავლებლის ინტერვიუდან ჩანს, რომ კათედრალური კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები და ხდება მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარება. **ტექნოლოგიების** მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კათედრის წევრები ერთმანეთთან თანამშრომლობენ. კათედრის სხდომაზე მოხდა კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება, სასკოლო კურიკულუმების შემუშავება და წლის განმავლობაში ჩასატარებელი სასწავლო აქტივობების და წლის განმავლობაში გასახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა რომ კურიკულუმის დაგეგმვისას თანამშრომლობდა **მათემატიკის** კათედრის წევრებთან, რომ ასევე ეწყობა კათედრაზე სამუშაო შეხვედრები, მსჯელობა კურიკულუმის ირგვლივ და მასწავლებელთა შეხედულებების და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის მეთოდოლოგია მისი შედგენისას მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას, დაწყებით საფეხურზე მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დგება კურიკულუმი. ინტერესთა სფეროს მიხედვით გეგმავენ სასწავლო პროცესს, თემის ინტერესების გათვალისწინებით, სკოლის მიერ ხორციელდება გრძელვადიანი პროექტები, რომლებიც ეროვნული სასწალო გეგმაზე დაყრდნობით, პრიორიტეტული თემებიდან აირჩა; ჯანსაღი ცხოვრების წესი, კულტურული მემკვიდრეობა. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული,ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სადაც გაანალიზებულია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა და ა.შ და ამის მიხედვით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენა. **მათემატიკის კათედრის წევრები** გამოხატავენ მზაობას, მომავალშიც საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად ერთობლივად შეიმუშავონ, შექმნან და განახორციელონ სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრა(მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) ცდილობს კურიკულუმში ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. როგორც პედაგოგებმა

ინტერვიუს დროს აღნიშნეს პროექტების საშუალებით კარგად მიმდინარეობს სასკოლო საზოგადების ინტერესების გააქტიურება და განხორციელება. მაგ. საზოგადოებრივმა კათედრამ (მე და საზოგადოება. ჩვენი საქართველო) მონაწილეობა მიიღო გრძელვადიან სასკოლო პროექტში „ სწორი არჩევანი“ რამაც ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ , პრიორიტეტული თემის , ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და პოპულარიზაციას შეუწყო ხელი სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლში. ასევე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა პირველ რიგში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობს. მომავალში გეგმავენ მეტად გაითვალისწინონ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და ასახონ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში. განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლაში **სპორტის** პრიორიტეტული სახეობების არჩევა და მოსწავლეთა გადანაწილება, ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში 2023-24 სასწავლო წლიდან დაგეგმილია, არსებული რესურსებიდან გამომდინარე პრიორიტეტული თემების განსაზღვრა. ყველა კლასში ფიზიკური აღზრდის თითოეული თემისთვის კომპლექსური დავალებების განხორციელება და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მომზადდება. კურიკულუმის შემუშავების და მოდიფიკაციის პროცესი ითვალისწინებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების აქტიურ ჩართულობას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებების იდეები. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** მიმართულებით სკოლაში ხორციელდება STEM პროექტები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სწავლობენ და ასევე შეისწავლიან სიახლეებს ტექნოლოგიების მიმართულებით, მათ ასევე დაგეგმეს და განახორციელეს მოსწავლეთა ვიზიტი ზუგდიდის ტექნოპარკში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **ქართული ენის** საგნობრივი კათედრა ადგენს კურიკულუმებს, რომელშიც ითვალისწინებენ მოსწავლეების, მშობლების აზრს და წარუდგენენ სკოლის დირექციასა და პედაგოგიური საბჭოს. **უცხო ენების** კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრის, დირექციის, პედაგოგიური საბჭოს აქტიური მონაწილეობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა ახორციელებს ინტეგრირებულ პროექტებს, გაკვეთილებს. მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმილია გრძელვადიანი ინტეგრირებული პროექტი: „კულტურული მრავალფეროვნება“. ინტერვიუდან ჩანს მშობლებთან თანამშრომობის პრაქტიკა - მათთან კომპლექსური დავალების ბარათის გაზიარების და კლასგარეშე ღონისძიებებში ჩართულობის მეშვეობით. პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას მშობლებთან ორმხრივი

კომუნიკაციის ფორმების გაუმჯობესების კუთხით. **მათემატიკის კათედრის** წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზების საფუძველზე და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას. ისინი აქტიურად და შემოქმედებითად არიან ჩართული ამ პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნების- „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმები, როგორც **საზოგადოებრივი კათედრის** პედაგოგებმა აღნიშნეს, ისინი ძირითადად შემუშავებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. მომდევნო სასწავლო წლისთვის კიდევ უფრო მეტად გააძლიერებენ სასკოლო საზოგადოების ყველ რგოლის ჩართვას შემუშავების პროცესში და უფრო მეტად გამოკვეთენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს სწავლა- სწავლების პროცესში. **ესთეტიკის** და **სპორტის** კათედრის შედგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე(რესურსი-12) სკოლაში მასწავლებლების მიერ იგეგმება მოსწავლეთა მიღწევებზე დაკვირვებით მათი საჭიროებების დადგენა და თემატური მატრიცების მოდიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს სრულად გამოვლინდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ტექნოლოგიების** პედაგოგმა ინტერვიუში გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ის თანამშრომლობს სხვა საგნების მასწავლებლებთან და მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებს კურიკულუმის გადამუშავებისას, მაგ, მათემატიკაში საჭირო ცხრილების და დიაგრამების ასაგებად მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში შესწავლილი Ms. Excel ელექტრონული ცხრილების პროგრამა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. რამდენადაც კურიკულუმის შექმნაში სასკოლო საზოგადოება მონაწილეობს, მასში აისახება ცვლილებები მათი მოსაზრებების გათვალისწინებით, შესაბამისად, საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის თვთშეფასების განაცხადის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა. არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალებები და სასკოლო აქტივობები გაზაირებულია სკოლის სოციალურ გვერდზე, ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის, თუმცა, გეგმავენ მეტად წაახალისონ დაწყებით საფეხურზე მშობლებისა და მოსწვალეების ინიციატივები. **ქართული ენის და ლიტერატურის და უცხო ენების** საგნობრივი კურიკულუმების საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ, სკოლა გეგმავს კურიკულუმის გაზიარებას სკოლის სოციალურ გვერდზე. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგებს, მშობელთა ჩართულობას და ა.შ და ამის მიხედვით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენა. ასევე, ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კომპლექსური დავალების ბარათების საშუალებით უზიარებენ მშობლებს

ინფორმაციას თუ რას, როგორ და რატომ ისწავლიან მოსწავლეები აღნიშნულ საგნებში. **მათემატიკის** კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები; **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნების სასკოლო კურიკულუმი (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **სპორტის** კათედრასთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა რომ, სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება მათთვის საინტერესო სხვადასხვა ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ **სპორტის** კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მიწოდებულ ფიზიკური აღზრდის კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა 1-6 კლასის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც კიდევ ერთხელ გადამუშავდება სასწავლო წლის დასაწყისში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმი;
- 2022-23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო პროექტი.
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი,სასკოლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ,
- დაწყებითი საფეხურის უცხო ენის კათედრის კურიკულუმი,
- უცხოური ენების კათედროს სხდომის ოქმი
- სასკოლო პროექტი „სწორი არჩევანი“;
- ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებები, შესაბამისად, ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. **უცხო ენის კათედრის** მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. წარმოდგენილი კათედრის ოქმებიდან იკვეთება პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობა სასწავლო შინაარსთან ერთად მოსწავლეთა ინტერესის, შესაძლებლობისა და წინარე ცოდნის გათვალისწინების კუთხით. მასწავლებლები ინტერვიუს პროცესშიც ადასტურებენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს და მომავალშიც აქვთ მზაობა განავითარონ კურიკულუმი მოსწავლის პიროვნულ ძალთა გააქტიურების ხელშესაწყობად. სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული კომპლექსურების სრული ნიმუშებიდან (ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების აქტივობებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ სახვითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში გაერთიანებულია სამიზნე ცნებები ,,სახვითი ხელოვნების დარგები'' და ,,სახვითი ხელოვნების ჟანრები'', დაწყებითი საფეხურის სტანდარტის მიხედვით აღნიშნული ცნებები და შესაბამისად ქვეცნებები მოცემულია ცალ-ცალკე (მასწავლებლებმა გასაუბრებაზე გამოთქვეს აღნიშნული რჩევების მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე გათვალისწინების მზაობა). **მათემატიკის** საგნობრივი კურიკულუმების გაანალიზების საფუძველზე, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრების დადასტურდა, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესების დაგეგმვას და განხორციელების გზას. მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში მთავარი სუბიექტია, ძირითადი აქცენტი მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე კეთდება. მთავარ ამოცანად მიიჩნევენ სასწავლო პროცესი წარმართოს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით და გათვალისწინებულ იყოს მისი ინტერესები, შესაძლებლობები. **საზოგადოებრივი მეცნიერების** (მე და საზოგადოება, ჩვენის საქართველო) საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში ყველა სავალდებულო თემაში წარმოდგენილია 1 კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალების იდეებით, კონტექსტ-მაგალითებით, რესურსებით, რომლებიც, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. ისინი ცდილობენ ყოველთვის სახალისო, საინტერესო და მარტივად გასაგები იყოს ყოველი აქტივობა. მომავალში გეგმავენ რომ მეტად გააქტიურონ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები. ე.ს.გ გეგმით გათვალისწინებული **ფიზიკური აღზრდის** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები საჭიროებს ნაწილობრივ გადამუშავებას, კერძოდ, 1-2

კლასში სასურველია თემების გამიჯვნა, 3-4 კლასში თემების დამატება, 5-6 კლასში თემებში გაწერილი ქვეცნებების და საკითხების დოზირება. რის მზაობასაც გამოხატავენ ფიზიკური აღზრდის პედაგოგები კათედრასთან ერთად, მთლიანობაში მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კურიკულუმის ჩარჩოებში სტანდარტით განსაზღვრული სარეკომენდაციო თემების ფარგლებში მუშავდება რამდენიმე კომპლექსური დავალება, თუმცა, სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრა გეგმავს მათ დახვეწასა და სრულყოფას. **უცხოური ენების** კათედრის საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადა, ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითებიც და კომპლექსური დავალების იდეები, რაც კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებისკენ მიემართება. სკოლის თვითშეფასების განაცხადში ხაზგასმულია, რომ კურიკულუმის შექმნის ამოცანაა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა კრიტიკული, შემოქმედებითი და კომპლექსური აზროვნების უნარების განვითარებას. დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურების შესაძლებლობებს. სკოლა ახორციელებს ინტეგრირებულ პროექტს „სწორი არჩევანი“ სადაც ხდება საგანთა ინტეგრირება არაფორმალური განათლების მეშვეობით. კურიკულუმები შედგენილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში დასაზუსტებელია სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, კონტექსტ მაგალითები. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები(ინგლისური ენა,რუსული ენა) საჭიროებს სავალდებულო თემების სრულად ასახვას, მაგ. მე-2 კლასის ინგლისურის კურიკულუმში წარმოდგენილია მხოლოდ ორი სავალდებულო თემა. სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული კომპლექსურების სრული ნიმუშიდან (ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების აქტივობებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შესაძლოა ითქვას, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სახვითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში გაერთიანებულია სამიზნე ცნებები ,,სახვითი ხელოვნების დარგები'' და ,,სახვითი ხელოვნების ჟანრები'', დაწყებითი საფეხურის სტანდარტის მიხედვით აღნიშნული ცნებები და შესაბამისად ქვეცნებები მოცემულია ცალ-ცალკე (მასწალვებლებმა გასაუბრებაზე გამოთქვეს აღნიშნული რჩევების მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე გათვალისწინების მზაობა) კურიკულუმებში **მათემატიკის** სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. წარმოდგენილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ცნებები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანთთან, ეს იერარქია კურიკულუმებში წარმოდგენილ ქვესაკითხების, ქვეცნებების და სამიზნე ცნებებით აღიწერება. თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს, სწავლების პროცესში ხდება სიღრმისეული სწავლების უზრუნველყოფა, მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ძირითადი კონტექსტ-მაგალითების, სამიზნე

ცნებების / ქვეცნებების, საფუძვლიანად შესწავლა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (მე და საზოგადოება. ჩვენი საქართველო) მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები, გაწერილი კომპლექსური დავალებები შექმნილია საგნების სტანდარტის მიხედვით, გათვალისწინებულია სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები. ჩანს კორელაცია საფეხურის შედეგებს, სამიზნე ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებს შორის. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში ყველა სავალდებული თემაში წარმოდგენილია 1 კომპლექსური დავალება, რომლის საშუალებით რამდენიმე სამიზნე ცნება მუშავდება.შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებას, დამოუკიდებელად სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც უზრუნველყოფს საგნის სიღრმისეული სწავლებას. მაგ. საგანში „მე და საზოგადოების“ სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხი „მკითხველთა კლუბი ჩემს კლასში," მისი კონტექსტ მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა იძლევა შემოქმედებითობის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ხოლო "ჩვენ საქართველოში" წარმოდგენილი კომპლექსური დავალების საკითხი „შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი“ კრიტიკული აზროვნების, გარემოზე ზრუნვის, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას ხელი შეუწო განხორციელებულმა პროექტმა „სწორი არჩევანი“, პედაგოგები მომავალი სასწავლო წლისათვის გეგმავენ სხვადასხვა სასკოლო პროექტებზე მუშაობას. კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები, რჩევები რომელიც მიეცა კათედრას ინტერვიუს დროს და რომლის ასახვას კურიკულუმში აპირებენ პედაგოგები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში ერთ მნიშვნელად განაპირობებს ე.ს.გ. სასწავლი გეგმის გრძელვადიან მიზნებზე გასვლას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმში ასახული საგნობრივი საკითხები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურების საფუძველს, რადგან თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. **ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის** წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები . მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო,რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა,აქტივობები შერჩეულია დაბალი,მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის, სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა,, განაცხადში წერენ: „სკოლაში ინკლუზიური განათლება ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის და ისგ ჯგუფის კოორდინირებული მუშაობით. მულტიდისციპლინური გუნდის

რეკომენდაციის საფუძველზე ხდება ისგ -ის შედგენა თითოეულ საგანში. საჭიროების შემთხვევაში, რევიზიის საფუძველზე, გეგმა ექვემდებარება გადახედვას და კორექტირებას.“ **უცხო ენების** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა შექმნან ადაპტირებული კომპლექსური დავალებები ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ასევე დასტურდება დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში, კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური დავალების პირობა იძლევა საშუალებას მოსწავლემ გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით და შეიქმნას მრავალფეროვანი პროდუქტი (პოსტერი,კომპიქსი,როლური თამაში,ინტერვიუ,ფოტო კოლაჟი).სკოლის მიერ მოწოდებული მუსიკის და სახვით ხელოვნების სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშებიდან გამომდინარე, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლაში შეიქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი რესურსებიდან, აქტივობებიდან და კურიკულუმებიდან გამომდინარე შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ, ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის **ფიზიკური აღზრდის** პედაგოგები მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებას და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, პედაგოგი აღნიშნავს რომ ყოველივე ეს მომავალში განაპირობებს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას ფიზიკური აღრზრდის სასწავლო პროცესში. **ტექნოლოგიების** პედაგოგმა ინტერვიუში გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ის თანამშრომლობს სხვა საგნების მასწავლებლებთან და მიღებულ ინფორმაციას იყენებს კურიკულუმის შემუშავებისას, მაგ, მათემატიკაში საჭირო ცხრილების და დიაგრამების ასაგებად მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში შესწავლილი Ms. Excel ელექტრონული ცხრილების პროგრამა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.დაწყებით საფეხურზე **ქართული ენისა და ლიტერატურის** სწავლებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში გამოიყენება როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასება. აქვთ კათედრაზე შეთანხმებული

შეფასების რუბრიკები, იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. განმავითარებელი შეფასება ძირითადად სიტყვიერია და ყოველი გაკვეთილის თანმხლებია. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ გეგმავენ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობას. რუბრიკები დაეფუძნება, ერთი მხრივ, სტანდარტის ინდიკატორებს, მეორე მხრივ- მკვიდრ წარმოდგენებს, რუბრიკების შედგენის პრინციპი მათთვის ცნობილია, ამაზე მეტყველებს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისათვის. დოკუმენტაციიდან ირკვვა, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას.წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით,ხოლო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება ეფუძნება საფეხურეობრივ შედეგებს. მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენის და შედეგების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება დიაგოსტიკური წერის ჩატარება - უცხო ენაში. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის მიზანია მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების დონის განსაზღვრა სწავლის პროცესში, ასევე წარმოდგენილია ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, რომელიც შემუშავებულია კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობით. ინტერვიუდან იკვეთება, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს,მისაღწევ შედეგებს და ცდილობენ უკუკავშირი ამათზე დაფუძნებით განახორციელონ. ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), შემიძლია დავასკვნა, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის საგან „ჩვენი საქართველოს“, თემა „აფხაზეთი“, საკითხი - „აფხაზეთის ომი და დევნილთა პრობლემები“ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შემუშავებულია დაწყებითი საფეხურის სტანდარტის ინდიკატორების შესაბამისად და რამდენიმე სამიზნე ცნებისკენ მიემართება. შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ისინი იყენებდნენ მრავალფეროვნ შეფასების რუბრიკებს .მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობა მათთვის გამოწვევაა და მომავალში გეგმავენ თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკებზე მუშობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრამ წარმოადგინა 2023-2024 სასწ. წლისთვის კურიკულუმების პირველადი ვერსიები. შეხვედრისას გაირკვა, სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს წინა სასწავლო წლის გამოცდილებას, კათედრების ანგარიშებს, მასწავლებელთა თვითშეფასებას, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს. როგორც სახვითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, შემდეგი წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი წარიმართა წინარე გამოცდილების ანალიზის შედეგად და გათვალისწინებული იყო მიმდინარე წლის გამოცდილება. საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველოს) პედაგოგებს აქვთ მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლის მიერ

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს რომ, ადმინისტრაციის მიერ, სისტემატურად ხდებოდა დაკვირვება სკოლის პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ეს გამოიხატებოდა სავალდებულო გაკვეთილების ჩატარებისას, ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრებისა და კათედრის წევრების ურთიერთდასწრებაში, შემდეგ კი ხდება გამოვლენილი ხარვეზების გაანალიზება და ცვლილებების შეტანა. მომავალში გეგმავენ სკოლებს შორის თანამშრომლობას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, სემინარებსა და კონფერენციებში, როგორც მომხსენებლად, ასევე მსმენელად დარეგისტრირებას, შესაბამისი ლიტერატურის დამუშავებას, ვებინარებსა და მასტერკლასებზე დასწრებას. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ ქოუჩების მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, რის შემდეგაც გეგმავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს და აგრძელებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშაობას. **ესთეტიკის** და **სპორტის** კათედრის შედგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე(რესურს-12) იკვეთება რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზი და კეთდება უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს ეძლევათ რეკომენდაციები..შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო/ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები, ინდ.გეგმა, შეფასების რუბრიკები,
- დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალების ანალიზი და ანგარიში
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო,
- კათედრის სხდომის ოქმი,
- 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი,
- მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები
- სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები
- სპეც მასწ სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო(მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო)

- ჩვენი საქართველო (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრაზე შემუშავებულია კომპლექსური დავალებები, რაც თავის თავში გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი, ტარდება მხატვრული და ინტელექტუალური ღონისძიებები, შიდასასკოლო ოლიმპიადები და ტურები, ხორციელდება პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ კათედრა კვლავაც აპირებს სხვადასხვა ინტერესის მოსწავლეებზე მორგებული ღონისძიებების დაგეგმვასა და გამართვას, შესაძლებელია

ითქვას, რომ ინდიკატორის ამ ნაწილში სრული შესაბამისობაა. **უცხო ენების** მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან, კომპლექსურ საკითხებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, მოცემული დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. თვითშეფასების კითხვარში მოცემული ნარატივის თანახმად, საგაკვეთილო პროცესის პარალელურად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობით. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი, ტარდება მხატვრული და ინტელექტუალური ღონისძიებები, შიდასასკოლო ოლიმპიადები და ტურები, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას . ინტერვიუში, აღნიშნეს, რომ გეგმავენ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის გაძლიერებას, პოზიტიური სასკოლო კლიმატის და მოსწავლის ინიციატივების წახალისებას. სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებითი საფეხურის **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალების სრული ნიმუშიდან(ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების აქტივობებიდან გამომდიანრე, ასევე უშუალოდ კურიკულუმში მოცემული შუალედური(თემა, დავალების იდეა) და გრძელვადიანი(სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალ წელს სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო)კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, კომპლექსური დავალებების საშულებით მოსწავლე თითონ არის შემოქმედი სწავლა-სწავლების პროცესის. შესაბამისად კომპლექსური დავალება მოსწავლეს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. **სპორტის** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მასში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, და 1-6 კლასებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია მოსწავლეებთან ერთად მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კურიკულუმების მიხედვით, გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა მიმდინარეობს ნაცნობ თემატურ კონტექსტებში, როგორებიცაა: ადამიანი და მისი ცხოვრება, ჩვენი ურთიერთობები, კავშირი ბუნებასთან და მისთ., დაწყებითი საფუხურის კურიკულუმი აგებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს აქვს წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობა. მაგალითად, მეექვსე კლასის კურიკულუმში მოსწავლეები ქმნიან პოსტერს ამერიკის წარსულის და აწმყოს შესახებ, რასაც წინ უსწრებს საკითხის შესწავლა - „აბორიგენი ინდოელების ცხოვრება რეზერვაციაში“ . მოსწავლეს უწევს გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებით და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. ინტერვიუში, გააჟღერეს მზაობა მოსწავლეებს, თემებში შესთავაზონ აზრიანი,შინაარსიანი კონტექსტი, რაც მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს **საზოგადოებრივი**

მეცნიერებებისა და მათემატიკის პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა -სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალი კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) თითოეულ სავალდებულო თემაში ერთი კომპლექსური დავალებაა წარმოდგენილი რამდენიმე სამიზნე ცნებით. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში კარგად ჩანს სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების და ქვეცნებების კორელაცია, რაც კარგად გამოხატავს ცოდნის კონსტრუირებას კომპლექსურ დავალებაში, კათედრა მიზნად ისახავს კონტექსტ-მაგალითებზე და რესურსებზე მუშაობას. **ფიზიკური აღზრდის** მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ , რომ მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. . დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოიაზრებს სწავლის სწავლაზე აქცენტირებას. წარმოდგენილი თემატური მატრიცები, ნაშრომის პრეზენტაციისას დასამელი შეკითხვები - რა ხერხები/სტრატეგიები გამოიყენეთ; რა ნაბიჯები გადადგით... დავალებაში მოცემული საკვანძო შეკითხვები-როგორ დავწერო... როგორ მოვიპოვო ინფორმაცია... როგორ გადმოვცე... და ა.შ.სწავლის-სწავლის სტრატეგიებიას გამოყენებაზე მიუთითებს (იხ. კურიკულუმები, კომპლ. დავალებების პირობები)... დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე,დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება მოიაზრებს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებას. საბოლოო პროდუქტის შექმნა მოითხოვს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, რეფლექსიას, ინფორმაციის გადამუშავების და ცოდნად გარდაქმნის უნარებს . ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებაზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) პედაგოგები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ამისათვის, საჭიროდ მიიჩნევენ, რომ გაამრავალფეროვნონ ისეთი აქტივობები, რომლებიც კოგნიტური, თვითმართვადი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან იკვეთება რომ, სკოლა ხელი შეუწყობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას(გონებრივი და ემოციური), ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობაში მოქცევას, საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზებას, მონიტორინგს და რეფლექსიას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. **უცხო ენების კათედრის,** მაგალითად, ინგლისური ენის კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალება მიზნად ისახავს პოსტერის შექმნას თემაზე ჩემი ქალაქი. ამისათვის, მან უნდა გაიაზროს რა არის პოსტერი,დაფიქრდეს რისთვის ქმნის პოსტერს და შექმნას პროდუქტი მოთხოვნის შესაბამისად. ამისთვის მას დასჭირდება ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენება. ინტერვიუს პროცესში, გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების

საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედური სასწავლო მიზნით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ, მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელებით შესაძლებელია მოსწავლეს ცოდნის სამივე კატეგორია ჩამოუყალიბოს ერთიანობაში და არა ცალ-ცალკე, ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პირობისეული ცოდნას, რომელიც, პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნათა ფუნქციურად გამოყენების საფუძველს ქმნის. მოცემულ სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებში, სასწავლო პროექტებში და არაფორმალურ აქტივობებში. **ფიზიკური აღზრდის** პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. რომელიც ორიენტილებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ქართული ენისა და ლიტერატურის** საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, საკვანძო ასპექტები, კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და, თავისთავად, მასწავლებელს ეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერდაკავშირებაში. (კურიკულუმები, კომპლ. დავალებები) **უცხო ენების** კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს სხვა საგნებში ნასწავლი მასალის უცხო ენასთან ინტეგრირება (მაგ.ხელოვნება). ინტერვიუს პროცესში გააჟღერეს, რომ იგეგმება ინტეგრირებული პროექტის განხორციელება, საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად გააზრების და ცოდნათა უთიერთდაკავშირების მიზნით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, კომპლექსური დავალების შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში კარგად მიმდინარეობს მოსწავლის გონებაში ცნებათა ბმულების ჩამოყალიბება, რომელიც მას სხვადასხვა მიმართულებით შეძენილი ცოდნის გამთლიანებაში დაეხმარება; სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი გრაფა "მაგალითი შედარებისთვის" იძლევა ცოდნის განზოგადების და ტრანსფერის საშუალებას, ამავე დროს პროცესს

უფრო საინტერესოს და შემოქმედებითს ხდის. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სკოლის **ფიზიკური აღზრდის** საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩოები
- ავტორიზაციის განაცხადი
- სასწავლო პროექტი
- კომპლექსური დავალების სრული ნიმუშები (ინსტრუქციით)
- მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებები
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო(მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო)
- საეტაპო აქტივობები
- ზეპირი ინტერვიუ

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**ქართულ ენასა და ლიტერატურაში** წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში სამიზნე ცნებები მუშავდება საგნობრივ საკითხებზე, კონკრეტულ თემაზე დაყრდნობით. შესაბამისად, უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება კომპლექსურებში წარმოდგენილი აქტივობების კლასში განხორციელების შედეგად. კათედრასთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პრინციპი მათთვის ცნობილია, წარმოდგენილი ჩარჩოები სამუშაო ვაერსიებია და სექტემბრამდე აპირებენ დახვეწასა და სრულყოფას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად ჩანს, რომ უცხო ენებში სასწავლო პროცესში ხდება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.თვითშეფასების განაცხადის თანახმად ხდება კომპლექსური დავალებების ანალიზი, რაც მათ ეხმარება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებაში. მნიშვნელოვანია ასევე ქვეცნებების განსაზღვრა, რომელსაც უკავშირდება საკითხები და ქვესაკითხები.ზოგ შემთხვევაში სრულად არ არის გაწერილი ცნებები და ქვეცნებები. თუმცა, ინტერვიუში გაჟღერდა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში გამოიკვეთება ქვეცნებები, რითაც დაზუსტდება ქვესაკითხები. **მათემატიკის კათედრის** მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დაკმაყოფილებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა - სწავლა-სწავლების პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე; სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც კურიკულუმებშია განსაზღვრული სამიზნე ცნებების სახით. შესაბამისად თემა, საკითხები და ქვესაკითხები, რაც საუძველს ქმნის სასწავლო პროცესი წარმართოს შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. რაც იქნება გარანტი იმისა, რომ სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) საგნობრივ კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები აღიწერება დაწყებითი საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგებით. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლას დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი მიზნები. აღნიშნულ საგნებში ყველ სავალდებულო თემაში არის კომპლექსური დავალება, რომლებიც რამდენიმე სამიზნე ცნებაზე გადის. იქ, სადაც კომპლექსური დავალების იდეა არის განსაზღვრული, კარგად ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება ,ასევე განსაზღვრულია ქვეცნებებიც .ინტერვიუს შედეგად დადგინდა რომ საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე გასვლა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების, შეფასების კრიტერიუმების მჭიდრო კორელაციით არის შესაძლებელი, ამიტომ მომავალი სასწავლო წლისთვის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და შეფასების კრიტერიუმების ურთიერთკავშირზე გააკეთებენ აქცენტს. სკოლის **ფიზიკური აღზრდის** მასწავლებლის ინფორმაციით კურიკულუმებში

გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რაზეც მეტყველებს წარმოდგენილი კურიკულუმები, მოსწავლეთა ნამუშევრები. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივი საკითხები უკავშირდება ნაცნობ კონტექსტს, რაც მოსწავლეს პოზიტიურ დამოკიდებულებას უყალიბებს სწავლის მიმართ. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები დამხმარე საშუალებებია სასწავლო მიზნის მისაღწევად. თვითშეფასების განაცხადის თანახმად, სკოლაში საგნობრივი სწავლება ორიენტირებულია, მოსწავლის თვითცნობიერების, სოციალური ცნობიერების, ურთიერთობისა და გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის უნარების განვითარებაზე. **მათემატიკის** ურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა განხორციელებული აქტივობები, პროექტებში მონაწილეობის პროცესი მოიაზრებს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პირობები იმისა, რომ მოსწავლეს შეეძლოს საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა და თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან სადაც უწევს მოქმედება და ურთიერთობა თანატოლებთან, გამოამჟღავნოს ნდობა ირგვლივმყოფების მიმართ, გასაგებად და თავდაჯერებულად გამოხატოს თავისი სურვილები და განცდები და, მეორე მხრივ, გაუგოს სხვას. იგივე დამოკიდებულება დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებრიდანაც. დაწყებით საფეხურზე **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას უწყობს ხელს. მაგ. კომპლექსური დავალების იდეა "ადვოკატის სიტყვის მომზადება ბახტრიონის აჯანყების გმირების დასაცავად" თვითგამოხატვის, თანაგრძნობის უნარის განვითარებას .უწყობს ხელს. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას ხელს უწყობს სასკოლო პროექტები და არაფორმალური განათლება. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კურიკულუმში შერჩულია ისეთი საკითხები და თემები, როგორიცაა PowerPoint-ში პრეზენტაციის შექმნა საქართველოს სასურველი რეგიონის შესახებ, „მისალოცი ბარათები, ჩემი საყვარელი ზღაპარი, „ჩემი ფოტოალბომი" და ა.შ., რაც ნიშნავს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არის მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები და ნამუშევრები, რომელშიც ჩანს მოსწავლეთა ცოდნა და უნარები კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია განხორციელებული პროექტი: „გონივრული არჩევანი" პროექტის ძირითადი არსი, უშუალოდ უკავშირდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მე-18 მუხლის ვ პუნქტს, რომლის მიხედვითაც მოზარდმა უნდა შესძლოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას. ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის

ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რათა საფრთხე არ შეუქმნას საკუთარ და სხვათა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. შეფასება სწავლების თანმხლებია. დანართში სკოლა წერს: „მასწავლებელი აცნობს კომპლექსური დავალების პირობას, აზუსტებს გრძელვადიან მიზნებს. საფეხურის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. მოსწავლეებმა დავალების დასაწყისშივე იციან რა მიზნით სწავლობენ, რა რესურსებზე დაყრდნობით, რა მიღწევებით შეფასდებიან და რაში გამოიყენებენ მიღებულ ცოდნას ცხოვრებაში.“ შეფასების სისტემა ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა განვითარებაზე. წარმოდგენილია სხვადასხვა შეფასების რუბრიკები - ზოგადი რუბრიკები, სოლო ტაქსონომოოს მოდელი, დაგეგმილია სადიაგნოსტიკო წერები. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუში - მიზნების, ამოცანების, კრიტერიუმებისა და მათი შეფასების ფორმების გათვალისწინებით, ემსახურება მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), ასევე სრული კომპლექსური დავალებების(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა მომავალ სასწავლო წელს ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. **მათემატიკის** კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალების გაცნობა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვიფიქროთ სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეზე და მის შედეგზე, შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითრეალიზებას, მისი შესაძლებლობების გამოვლენას, ინტერესების დაკმაყოფილებაზე ხაზგასმას, სწავლა-სწავლებისას ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის მიერ და სწავლას თანამშრომლობით, მოსწავლეები ახერხებენ თვითრეგულაციას. იგივე მოსაზრება დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **საზოგადოებრივი კათედრის** წევრებს(მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) აქვთ მზაობა დახვეწონ შეფასების ჰოლისტური სისტემა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება კათედრის წევრების მიერ. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, საგნობრივი კურიკულუმის ფარგლებში იმუშავებენ თემის ფარგლებში მიმდინარე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნაზე, გამოიყენებენ წინა წლებში კომპლექსური დავალებებზე მუშაობის გამოცდილებას. პედაგოგები გეგმავენ მეტი ყურადღება დაუთმონ მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვებას და მის ანალიზს, მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, რათა დაგეგმონ შესაბამისი ინტერვენციები, მაგ, პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას უწყობს ხელს, რაც ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერისკენაა მიმართული. სკოლის მიერ წარმოდგენილი **ფიზიკური აღზრდის** განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავ სკოლა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. დაწყებითი საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების გაცნობიერებაში. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებთან გასაუბრების გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და

განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლოტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. „სკოლაში შეფასების სისტემა არის გამჭირვალე, მასში ნათლად არის განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად ხდება მოსწავლის შეფასება. შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ და წინასწარ არის ცნობილი მოსწავლისათვის.“-ვკითხულობთ დანართში. კათედრა გეგმავს, შეფასების რუბრიკების შექმნას როგორც განმავითარებელი, ასევე-განმსაზღვრელი შეფასებისთვის, მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და **უცხო ენების** კათედრასთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ შეფასების რუბრიკები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ და წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის. შეფასების რუბრიკები მიემართება შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნებს, შესაბამისად არის ვალიდური,სანდო. სკოლის მიერ მოწოდებულ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: 1.ვალიდურობას 2. სანდოობას 3. სამართლიანობას და 4.ობიექტურობას, ასევე სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. დაწყებით საფეხურზე, **მე და საზოგადოებასა** და **ჩვენი საქართველოს** მე-5 კლასის პირველ სემესტრში იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ხოლო მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას. პედაგოგებს აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობის გამოცდილება, ერთმანეთთან თანამშრომლობით და გამოცდილების გაზიარებით მომავალში ცდილობენ დახვეწონ შეფასების სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ შეფასების რუბრიკების ვალიდურობა მოწმდება კათედრაზე ურთიერთდასწრების შედეგების განხილვის შედეგად, ინახება მოსწავლეთა შემაჯამებელი ნამუშევრები, შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლების ანალიზები, რაც გარკვეულწილად იძლევა შეფასების ვერიფიკაციის შესაძლებლობას. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც განსაზღვრავს რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების**

კათედრაზე მოსწავლეთა შეფასების სიზუსტის შესაფასებლად იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება სასწავლო წლის განმავლობასი 2-ჯერ, შერჩეულია სადიაგოსტიკო ტესტირების IV ინსტრუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. **მათემატიკის** კათერდის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, ხდება არსებული ელქტრონული ჟურნალის მეშვეობით, ასევე ინფორმაციის ასახვას აწარმოებენ მოსწავლის პირად საქმეში, ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროექტები;
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო)

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, ინტერვიუში იკვეთება მასწავლებელთა გუნდური მიდგომა გამოწვევებისადმი, გააჟღერეს რომ მოსწავლეების მოსაზრება და ინიციატივები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს მზაობა ამ კუთხით განავითაროს არსებული მიდგომები სამომავლოდ. სკოლის 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლაში შეიქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას, ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლის ღირებულებები და ფასეულობებია თანასწორობა, პატივისცემა/ტოლერანტობა, ურთიერთანამშრომლობა და სამართლიანობა, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შევსებას სხვადასხვა რესურსებით და ზოგადად სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას, დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ მომავალ წელს სასწავლო პროცესში შექმნილი იქნება მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **მათემატიკის** წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა პედაგოგებს, მშობლებს შორის თანამშრომლობას და ეს პროცესი არის უწყვეტი. მასწავლებლები გეგმავენ ერთობლივ გაკვეთილებს, ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ შესაბამისად კონსტრუქციულ უკუკავშირს. აანალიზებენ და უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებას, კათედრის სხდომებზე და სხვადასხვა შეხვედრებზე, თუ კრებებზე. ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ თანამშრომლობითა და ერთმანეთის მხარდაჭერით სხვადასხვა პროექტებს თუ აქტივობებს. ამ პროცესში აქტიურად ჩართულნი არიან მშობლებიც. როგორც **საზოგადოებრივი კათედრის** პედაგოგებმა აღნიშნეს კომპლექსური დავალებაზე მუშაობის დროს ცდილობენ შექმნან სასიამოვნო, საინტერესო და თანამშრომლობითი ატმოსფერო, რაც მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას უწყობს ხელს. **ფიზიკური აღზრდის** მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე ყოველთვის ცდილობენ მოსწავლეებისათვის შექმნან მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემო, მაქსიმალურად ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს. სკოლის ესთეტიკის და სპორტის კათედრასთან ერთად კი გეგმავს სკოლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით მრავალფეროვან სპორტულ აქტივობებს, სადაც მონაწილეობას ღებულობს სკოლის დაწყებითი საფეხურის ყველა მოსწავლე მათი შესაძლებლობის და ინტერესების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებები, მასწავლებელი უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას, რაც თანამშრომლობითი და უსაფრთო სასწავლო გარემოს შექმნას უწყობს ხელს. მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ გამოსავლენად სამომავლოდ სკოლა გეგმავს მუდმივ მონიტორიგს, როგორც მათ აკადემიურ მიღწევებზე ასევე ფორმალურ თუ არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობის რაოდენობასა და ხარისხზე. სკოლის მიერ მოწოდებული მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალების სრული ნიმუშიდან(ინსტრუქციით) ასევე უშუალოდ კურიკულუმში მოცემული შუალედური(თემა, კომპლექსური დავალება) და გრძელვადიანი(სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარე, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმით შერჩეული კომპლექსური დავალების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდა და განხორციელების საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ინტერვიუს დროს **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგებმა ისაუბრეს ,რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს , შეფასებისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რათა დაინახონ თითოეული მოსწავლის პროგრესი. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების დანახვის შესაძლებლობას, ზრუნვასა და მხარდაჭერაზეა აგებული ,ეს კი დადებითად აისახება მოსწავლის თვითრეალიზებაზე. **ფიზიკური აღზრდის** პედაგოგები ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას , ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, უკუკავშირი კათედრის წევრებს შორის . ხორციელდება არაფორმალური აქტივობები ,რაც ხელს უწყობს მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობას. ინტერვიუზე გააჟღერეს,რომ ხდება მშობლებთან თანამშრომლობა და ჩართვა

სასკოლო ცხოვრებაში. გეგმავენ ინტეგრირებულ გკვეთილებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს. სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ იკვეთება არსებული პრაქტიკის უფრო მეტად განვითარება. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, სადაც აღწერილია, რომ კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაში ჩართულები არიან როგორც მასწავლებლები ასევე დირექცია, ასევე კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ 2.2.1 ინდიკატორში განხილული მტკიცებულებებიდან გამომდინარე დასტურდება სასწავლო პროცესის სწავლა სწალვების კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნება, ასევე სკოლის 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლის ღირებულებები და ფასეულობებია თანასწორობა, პატივისცემა/ტოლერანტობა, ურთიერთანამშრომლობა და სამართლიანობა, ამ ყველაფრიდან გამომდინარე შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ წელს სასწავლო პროცესი წარიმართება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე დაფუძნებით. სკოლის დოკუმენტაციებში წარმოდგენილია და **მათემატიკის** კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოებას აერთიანებთ საერთო ღირებულებები და ინტერესები, თითოეული მათგანი ზრუნავს მოსწავლეთა მაღალი აკადემიური შედეგებისა და თვითრეგულირებადი დისიპლინისათვის. ერთობლივარ ამუშავებენ და ზრუნავენ სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე ინოვაციური მეთოდების დანერგვას, რათა გააუმჯობესონ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიები. ისინი აანალიზებენ მონაცემებს თითოეული მოსწავლისა თუ საერთო პრობლემური საკითხების შესახებ და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს, რეკომენდაციებს. თანამშრომლობის პირობებში კომუნიკაცია მხოლოდ შეხვედრების დონეზე არ ხდება, მას ნერგავენ თავიანთ პედაგოგიურ საქმიანობაში საკლასო ოთახებსა თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. თვითშეფასების განაცხადისა დაპედაგოგებთან გასაუბრების თანახმად, სკოლაში არის სოციალურად, ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო. მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ერთად მუშაობენ სასკოლო კულტურის პოზიტიური გარემოს შექმნისათვის.სკოლას განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება გრძელვადიანი პროექტი ,,კულტურული მრავალფეროვნება“, რომელიც მოიაზრებს გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ თანამშრომლობას. როგორც სკოლის 2023-24 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია გაწერილი, სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შევსებას სხვადასხვა რესურსებით და ზოგადად სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას, დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ რომ მომავალ სასწავლო წელს

სკოლაში მეტწილად უზრუნველყოფილი იქნება პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **მათემატიკის კათედრის** მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც გაწერილია და ადასტურებენ კიდეც კათედრის წევრები გასაუბრების დროს, რომ სკოლაში არსებული თანამშრომლობითი გარემო, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, წარმოშობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც მისაღები თითოეული მათთგანისათვის და აყალიბებს ისეთ ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე. სკოლის **ფიზიკური აღზრდის** მასწავლებლის გასაუბრებიდან გამომდინარე ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს . ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები,
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან დადებული ხელშეკრულება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ხარისხის ჯგუფის და კათედრების მიერ. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ვლინდება საჭიროებები და ხდება უკუკავშირის გაცემა. საგნობრივი კათედრები ახორციელებენ ურთიერთდასწრებას და ანალიზს, აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის) და 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **მათემატიკისა და უცხო ენების** კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, აგრეთვე კათედრის წევრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სკოლაში სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და სკოლაში მიმდინარეობს დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივი კათედრის წევრები ესწრებიან და აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს. ეხმარებიაან სხვადასხვა სასწავლო და კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებაში, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ეხმარებიან საჭირო მასალების მოძიებაში და სასწავლო რესურსის შექმნაში მონიტორინგის ინსტრუმენტების დახვეწის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. თვითშეფასების განაცხადის თანახმად, სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი , რომელიც დებულების შესაბამისად ახდენს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და აძლევს მასწავლებელს შესაბამის უკუკავშირს. საგნობრივ კათედრის წევრები ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ გაკვეთილს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას , გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და მშობელთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის) და 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **მათემატიკის კათედრის** ინფორმაციით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, რომელშიც განსაზღრულია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. რის შედეგად სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ასევე ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ ადმინისტრაციის წევრები. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ეს ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. ეს საქმიანობა დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივი კათედრის წევრები ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ გაკვეთილს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას , გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. იგეგმება როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და მშობელთა მეტი ჩართულობა უკუკავშირის გასათვალისწინებლად. სკოლის **სპორტის** კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ

გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. მონიტორინგს აღნიშნულ პროცეს უწევს სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მთელი სასწავლო წლის მანძილზე ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი და სამუშაო შეხვედრები მონიტორინგის შედეგების შესაფასებლად , რომელიც აუცილებელია სწავლების პროცესში ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის. თუ გარემოებების გამო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე აქტივობა მიუღწევადია, მიიღება გეგმის კორექტირების გადაწყვეტილება, ხოლო თუ შესაძლებელია მისი გამოსწორება, ისახება გამოსწორების გზები და საშუალებები.სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის ტანახმად, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. **მათემატიკის** კათედრის წევრები გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ მონიტორინგს და შეფასების უდიდესი როლი აქვს პრობლემის იდენტიფიცირებაში. სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ვლინდება როგორც ძლიერი ასევე სუსტი მხარეები და სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენოს ის პროცესებისა და შედეგების გაუმჯობესებისათვის და გამოიყენონ ის როგორც გზა და საშუალება არსებული პრობლემების მოგვარებისა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. მასწავლებლები მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას და პედაგოგიური საჭიროებების დადგენას მოახდენენ თემატურ მატრიცაზე დაფუძნებით. **ბუნებისმეტყველების** პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი, შეფასების ანალიზი;
- 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, კერძოდ შეფასება ხდება : საკლასო, საშინაო , შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებებით. თითოეულ დავალებას მასწავლებელი ადგენს ესგ სტანდარტიდან გამომდინარე. შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი. შეფასება არის ვალიდური,გამჭირვალე და სანდო. შესაბამისი ნიშანი ან განმავითარებელი კომენტარი იწერება ელ.ჟურნალში,რომელზე წვდომაც აქვს მშობელს. **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმებიდან, მოწოდებული შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სკოლა კონკრეტულ მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენებს, როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას. **მათემატიკის** კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესს, პროექტების მონაწილეობის პროცესს, მასწავლებლის პორტფოლიოს, დიაგნოსტიკურ წერების, მოსწავლეთა ნაშრომებს და ა შ. სკოლის დაწყებითი საფეხურის **ფიზიკური აღზრდის** განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, ფიზიკური აღზრდის პედაგოგის

ინტერვიუდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგნილი დოკუმენტაციიიდან ჩანს, რომ გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების სქემები. ინტერვიუში გააჟღერეს,რომ კონტექსტები და ფოკუსი შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება. კათედრას აქვს დამრიგებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობის პრაქტიკა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. ახდენენ თვითრეფლექსიას, ურთიერთდასწრებას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, ინტერესების თუ სხვა საკითხების შესასწავლად, რაც მოცემულ კონტექსტშია საჭირო და გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტულობაზე **მათემატიკის** კათედრის წევრებთანაც გასაუბრებითაც დასტურდება, რომ მოსწავლის შეფასებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. შეფასება ხორციელდება კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების მიხედვით, ცოდნის სამივე კატეგორიის ცოდნის შესაბამისად. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის წევრები გამოხატავენ მზაობას იმისათვის რომ, შეფასება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით მოხდეს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლა 2022-20223 სასწავლო წელს იყენებდა შეფასების პირველ მოდელს. მომავალი სასწავლო წლისთვის კი ირჩევს შეფასების მეორე მოდელს. მომავალი სასწავლო წლისთვის პედაგოგებს აქვთ სრული მზაობა გამოიკვლიონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები ,დაადგინონ კლასის საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. თვითშეფასების განაცხადის თანახმად, შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ისეთი მეთოდები, როგორიცაა დაკვირვება ან დაკვირვების დღიურის წარმოება ,გამოკითხვა , კონტენტანალიზი , კითხვა-პასუხი , ტესტირება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. გეგმავენ არსებული მეთოდების გამრავალფეროვნებას. **მათემატიკის** პედაგოგებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასებისას იყენებენ შემდეგ მეთოდებს: მოსწავლეთა დაკვირვება, მოსწავლის შეფასებების შედეგების ანალიზი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, დამოუკიდებელი მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება და სხვა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისთვის მომავალში გამოიყენებენ მოსწავლის პორტფოლიოს, რომელიც კარგად ასახავს როგორც აკადემიურ პროგრესს, ისე მოსწავლის ფსიქო- ემოციურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას აქვს გამოცდილება განახორციელოს შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. იყენებენ ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების სქემებს,რომელიც აერთიანებს იმ კრიტერიუმებს და მახასიათებლებს, რაც მოიაზრება შეფასების სამიზნედ. **ესთეტიკური აღზრდის კათედრის** ინფორმაციით, როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), ასევე გასაუბრებებიდან, კურიკულუმებიდან, მოწოდებული შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სკოლა კონკრეტულ მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენებს, როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, აქედან გამომდინა ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურობას, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს და სასკოლო კურიკულუმში ასახულ კომპლექსური დავალებების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებზე იმუშავებენ. ამავე დროს გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალიზმს. ამის დასადგენად კი პედაგოგები თვითშეფასების სხვადასხვა აქტივობის გამოყენებას გეგმავენ. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებისას ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასებებს და სიტყვიერ კომენტარებს, შეფასებები ხდება საჭიროებებისა და მიღწევებში შესაბამისად, მაგრამ **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** პედაგოგებს დასახვეწი აქვს შეფასებების მეთოდები, რომელიც სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მოხდება მომავალ სასწავლო წელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი,
- შეფასების ანალიზი,
- შეფასების სქემები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის თვითშფასების განაცხადის თანახმად კურიკულუმები შექმნილია არსებული გამოცდილების (ზეპირსტყვიერი) ანალიზის საფუძველზე, გათვალისწინებულია გამოკვეთილი ხარვეზები და წარმატებული პრაქტიკა. სამომავლოდ გეგმავენ, ამ მიმართულებით უფრო მეტ მუშაობას, სკოლას აქვს მზაობა შექმნას კურიკულუმის რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. რეფლექსიის შედეგები გათვალისწინებული იქნება მომავალი პერსპექტივისთვის. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დაწვრილებით არის გაწერილი თუ როგორ უნდა განვითარდეს და როგორ უნდა შეიმუშავონ სასკოლო კურიკულუმები აქედან გამომდინარე სკოლაში შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა

პაკეტი. **მათემატიკის** პედაგოგებთან გასაუბრებისას და წარმოდგენილ დოკუმენტებშიც არის ასახული, რომ სკოლაში შექმნილია და დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი გუნდი, რომელიც შეგროვილი ინფორმაციის, მიღწევების ანალიზის, თვითშეფასების საფუძველზე ქმნის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რომელიც მუშავდება და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია თუნდაც კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის წევრებმა იმსჯელეს და წამოაყენეს წინადადებები ამ მიმართულების გასაძლიერებლად. სკოლაში ჩატარდა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის ქოუჩინგი, რომლის მიზანი იყო 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის შექმნა, შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა და შერჩევა, სადიაგნოსტიკო შეფასების შერჩევა სკოლის დონეზე. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ იზიარებდნენ ქოუჩების მითითებებს და ითვალისწინებდნენ მათ რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. თვითშეფასების განაცხადის თანახმად, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს წინა წლის გამოცდილება და მოახდინეს საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავება.სამომავლოდ,კვლევა და შეფასება ჩატარდება წინასწარ შემუშავებული მეთოდით. **საზოგადოებრივ მეცნიერებებს** (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო)აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მიხედვით დაგეგმოს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის და პედაგოგთა ინტერვიუს მიხედვით კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას, ამაზე მეტყველებს სკოლაში ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. ამჟამად, 2023-24 სასწავლო წლისთვის სკოლას გადაწყვეტილი აქვს გამოიყენოს შეფასების მეორე მოდელი , რომლის ფარგლებშიც მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა. სემესტრში ერთხელ კი გეგმავენ სადიაგნოსტიკო შეფასებას და გამოიყენებენ სადიაგნოსტიკო შეფასების მეოთხე მოდელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი,
- სკოლის თვთშეფასების განაცხადი,

- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება(მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია). თავად კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. გათალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობები, კურიკულუმი მორგებულია სსსმ მოსწავლეებზე. მასწავლებლების, მოსწავლეების წინადადებების გათვალისწინებით, შემუშავდა სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმები , რომელიც შეესაბამება სკოლის მისიას და ეროვნულ სასწავლო მიზნებს. სასკოლო სასწავლო გეგმა განსახილველად გადაეცემა სკოლის სამეურვეო საბჭოს და შეთანხმების შემდეგ დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მათ შორის, **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) კურიკულუმები, რომლებიც გამომდინარეობს საფეხურის მისიიდან, ითვალისწინებს სწავლა-სწავლების საგანმანათლებლო პრინციპებს და ამზადებს მოსწავლეს სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულებისაკენ. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლთან. ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვით, ინტერვიუს და ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალებით იკვლევენ მოსწავლეთა, მშობელთა და თემის ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს და ითვალისწინებენ კურიკულუმის შემუშავების დროს, ასევე ითვალისწინებენ წინა წლებში დამუშავებულ ინფორმაციას, მშობლებთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან მუშაობისას მიღებულ გამოცდილებას. **საბუნებისმეტყველო კათედრის** პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. **კათედრების** თანამშრომლობით ხდება კურიკულუმების მეთოდიკის შემუშავება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმის მეთოდოლოგია მისი შედგენისას მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დგება კურიკულუმი. ინტერესთა სფეროს მიხედვით გეგმავენ სასწავლო პროცესს, თემის ინტერესების გათვალისწინებით, სკოლის მიერ ხორციელდება

გრძელვადიანი პროექტები, რომლებიც ეროვნული სასწალო გეგმაზე დაყრდნობით, პრიორიტეტული თემებიდან აირჩა; ჯანსაღი ცხოვრების წესი, კულტურული მემკვიდრეობა. **საბუნებისმეტყველო კათედრა** გეგმავს ახალი სასწავლო წლიდან შემუშავებული კურიკულუმების გადახედვას, მიცემული რჩევების გათვალისწინებით კურიკულუმების გაუმჯობესებას და ყველა კლასში კომპლექსური დავალებების დამატებას, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. იგივე დასტურდება **მათემატიკის** კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც და გამოხატავენ მზაობას, მომავალშიც საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად ერთობლივად შეიმუშავონ, შექმნან და განახორციელონ სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) ცდილობს კურიკულუმში ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს პროექტების საშუალებით კარგად მიმდინარეობს სასკოლო საზოგადების ინტერესების გააქტიურება და განხორციელება. მაგ. **საზოგადოებრივმა კათედრამ** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) მონაწილეობა მიიღო გრძელვადიან სასკოლო პროექტში „ გენდერული თანასწორობა“რამაც საზოგადოებაში არსებული პრობლემების იდენტიფირებას შეუწყო ხელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საგნობრივი კათედრები ადგენენ კურიკულუმებს, რომელშიც ითვალისწინებენ მოსწავლეების, მშობლების აზრს და წარუდგენენ სკოლის დირექციასა და პედაგოგოურ საბჭოს. სკოლის მიერ წარმოდგენილია **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) კურიკულუმები, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, ძირითადად შემუშავებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს რომ, სკოლის დირექცია კურიკულუმის შემუშავების დროს მეტად გაითვალისწინებს განვლილი სასწავლო წლის მონიტორინგის შედეგებს. **ქართული ენის და ლიტერატურის და უცხო ენების** მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს პროექტებზე მუშაობის დიდი გამოცდილება და მომავალშიც გააგრძელებენ ამ კუთხით მუშაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. რამდენადაც კურიკულუმის შექმნაში სასკოლო საზოგადოება მონაწილეობს, მასში აისახება ცვლილებები მათი მოსაზრებების გათვალისწინებით, შესაბამისად, საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულის სასკოლო საზოგადოების მიერ. **მათემატიკის** კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები; ინტერვიუს დროს **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, სოციალურ ქსელს და სხვადასხვა პლატფორმებს აქტიურად იყენებენ მშობლის ბარათების გასაზიარებლად. **მუსიკისა და ხელოვნების** მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კომპლექსური დავალების ბარათების საშუალებით უზიარებენ მშობლებს ინფორმაციას თუ რას, როგორ და რატომ ისწავლიან მოსწავლეები აღნიშნულ საგნებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმი;
- 2022-23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო პროექტი.
- ზეპირი ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებები, შესაბამისად, ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ **სახვითი ხელოვნებისა** და **მუსიკის** საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული კომპლექსურების სრული ნიმუშებიდან (ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების აქტივობებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ **სახვითი ხელოვნების** საბაზო საფეხურის სამივე კლასის კურიკულუმში, რიგ შემთხვევაში გაწერილ ცნებებთან არ არის მითითებული ქვეცნებები (მასწალვებლებმა გასაუბრებაზე გამოთქვეს აღნიშნული რჩევების მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე გათვალისწინების მზაობა). **საზოგადოებრივი მეცნიერების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საგნობრივი კურიკულუმის

ჩარჩოში ყველა სავალდებულო თემაში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალების იდეებით, კონტექსტ-მაგალითებით, რესურსებით, რომლებიც, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი ცდილობენ ყოველთვის სახალისო, საინტერესო და მარტივად გასაგები იყოს ყოველი აქტივობა. აღსანიშნავია, რომ ე.ს.გ გეგმით გათვალისწინებული **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** საბაზო საფეხურის კურიკულუმები საჭიროებს უმნიშვნელოდ გადამუშავებას, კერძოდ თემებში გაწერილი ქვეცნებების და საკითხების დოზირების შესწავლის მხრივ. რის მზაობასაც გამოხატავს ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგები კათედრასთან ერთად, მთლიანობაში მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები): კურიკულუმის ჩარჩოებში სტანდარტით განსაზღვრული სარეკომენდაციო თემების ფარგლებში მუშავდება რამდენიმე კომპლექსური დავალება, თუმცა სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრა გეგმავს მათ დახვეწასა და სრულყოფას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები, გაწერილი კომპლექსური დავალებები შექმნილია საგნების სტანდარტის მიხედვით, გათვალისწინებულია სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები. ჩანს კორელაცია საფეხურის შედეგებს, სამიზნე ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებს შორის. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში ყველა სავალდებულო თემებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. ყველა სავადებულო თემაში ყველა სამიზნე ცნება მუშავდება. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებას, დამოუკიდებელად სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც უზრუნველყოფს საგნის სიღრმისეული სწავლებას. მაგ. საგანში „გეოგრაფია“ სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხი „ყარაყუმის უდაბნო და მისი საფრთხეები”მისი კონტექსტ მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა იძლევა კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ხოლო ”ისტორიაში” წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „სულხან საბა ორბელიანის თნაშემწის ჩანაწერის შექმნა” კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას ხელი შეუწო განხორციელებულმა პროექტმა „სწორი არჩევანი“, პედაგოგები მომავალი სასწავლო წლისათვის გეგმავენ სხვადასხვა სასკოლო პროექტებზე მუშაობას. **საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების კურუკულუმში** გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, ასევე მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე ორიენტირებული პროცესი. სკოლას აქვს სასკოლო პროექტების, ასევე კომპლექსური ტიპის დავალებების გახორციელების გამოცდილება. ინტერვიუს დროს ფიზიკის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ახალ სასწავლო წელს გეგმავს პროექტს, რომელშიც გაერთიანებული იქნება ცალ-ცალკე საგნები: ქიმია-ბიოლოგია-ფიზიკა. მასწავლებელმა აღნიშნა, ახალი პროექტის დაგეგმვისას გაითვალისწინებს სტანდარტთან კავშირებს, ასევე წინარე გამოცდილებას და მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები . მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო,რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა,აქტივობები შერჩეულია დაბალი,მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის, სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა,, განაცხადში წერენ: „სკოლაში ინკლუზიური განათლება ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის და ისგ ჯგუფის კოორდინირებული მუშაობით. მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე ხდება ისგ -ის შედგენა თითოეულ საგანში. საჭიროების შემთხვევაში, რევიზიის საფუძველზე, გეგმა ექვემდებარება გადახედვას და კორექტირებას.“ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ, სკოლაში ინკლუზიური განათლება ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის და ისგ ჯგუფის კოორდინირებული მუშაობით. მულტიდისციპლინალური გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე ხდება ისგ -ის შედგენა თითოეულ საგანში, საჭიროების შემთხვევაში რევიზიის საფუძველზე. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში მეტად გაამახვილოს ყურადღება დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებზე.; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს ,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, სწავლა-სწავლების პროცესში და კომპლექსური დავალების განხორციელების ყველა ეტაპზე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალიზმს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. მომავალში გეგმავენ გაამდიდრონ გაკვეთილზე გამოსაყენებელი რესურსები, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა. სკოლის **ფიზიკური აღზრდის** პედაგოგები მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებას და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, პედაგოგი აღნიშნავს რომ ყოველივე ეს მომავალში განაპირობებს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას ფიზიკური აღრზრდის სასწავლო პროცესში. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებმა** ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ კათედრაზე აქვთ მოსწავლის ბარათები, სადიაგნოსტიკო ტესტი ქიმიაში, რომლითაც ახდენენ მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვებას და მის ანალიზს. ასევე მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, შესაძლებლობების დადგენას და ასე არგებენ სასწავლო პროცესს მოსწავლის შესაძლებლობებს. ასევე გამოიყენებენ გასასვლელ ბილეთებს,

რისი საშუალებითაც გაუადვილდებათ მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.საბაზო საფეხურზე **ქართული ენისა და ლიტერატურის** სწავლებისას იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას,აქვთ კათედრაზე შეთანხმებული შეფასების რუბრიკები, იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. განმავითარებელი შეფასება ძირითადად სიტყვიერია და ყოველი გაკვეთილის თანმხლებია. კათედრამ დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტებში წარმოადგინა თითო ნიმუში განმსაზღვრელი (დაფუძნებული სტანდარტის ინდიკატორებს) და განმავითარებელი (დაფუძნებული მკვიდრ წარმოდგენებს) შეფასებისა.
ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ გეგმავენ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობას. რუბრიკები დაეფუძნება, ერთი მხრივ, სტანდარტის ინდიკატორებს, მეორე მხრივ- მკვიდრ წარმოდგენებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული შეფასების რუბრიკის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება გათვლილია გრძელვადიანი მიზნებისთვის და ითვალისწინებს მეთოდიკურ ორიენტირებს, მოსწავლეთა მოტივირებას, შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას. შეფასების რუბრიკები შემუშავებულია უცხო ენების კათედრაზე და მასწავლებელთა მხრიდან ის განიხილება,როგორც სწავლა სწავლების შედეგების გაუმჯობესების გზა. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით, ხოლო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება ეფუძნება საფეხურეობრივ შედეგებს. შეფასების რუბრიკები შემუშავებულია **უცხო ენების** კათედრაზე და მასწავლებელთა მხრიდან ის განიხილება,როგორც სწავლა სწავლების შედეგების გაუმჯობესების გზა. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით, ხოლო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება ეფუძნება საფეხურეობრივ შედეგებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრამ წარმოადგინა 2023-2024 სასწ. წლისთვის კურიკულუმების პირველადი ვერსიები. შეხვედრისას გაირკვა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს წინა სასწავლო წლის გამოცდილებას, კათედრების ანგარიშებს, მასწავლებელთა თვითშეფასებას, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) პედაგოგებს აქვთ მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს რომ, ადმინისტრაციის მიერ, სისტემატიურად ხდებოდა დაკვირვება სკოლის პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ეს გამოიხატებოდა სავალდებულო გაკვეთილების ჩატარებისას, ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრებისა და კათედრის წევრების ურთიერთდასწრებაში, შემდეგ კი ხდება გამოვლენილი ხარვეზების გაანალიზება და ცვლილებების შეტანა. მომავალში გეგმავენ სკოლებს შორის თანამშრომლობას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, სემინარებსა და კონფერენციებში, როგორც მომხსენებლად, ასევე მსმენელად დარეგისტრირებას, შესაბამისი ლიტერატურის დამუშავებას, ვებინარებსა და მასტერკლასებზე დასწრებას. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ ქოუჩების მიერ მიცემულ

რეკომენდაციებს, ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, რის შემდეგაც გეგმავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს და აგრძელებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშაობას. როგორც **სახვითი ხელოვნების და მუსიკის** მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, შემდეგი წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი წარიმართა წინარე გამოცდილების ანალიზის შედეგად და გათვალისწინებული იყო მიმდინარე წლის გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალების ანალიზი და ანგარიში
- ზეპირი ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.რამდენადაც კათედრაზე შემუშავებულია კომპლექსური დავალებები, რაც თავის თავში გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი, ტარდება მხატვრული და ინტელექტუალური ღონისძიებები, შიდასასკოლო ოლიმპიადები და ტურები, ხორციელდება პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას; მაგალითისთვის პროექტი: ,,რა ვიცით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ" ასევე, **უცხო ენებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრების წარმომადგენლებთან** ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ კათედრები კვლავაც აპირებენ სხვადასხვა ინტერესის მოსწავლეებზე მორგებული ღონისძიებების დაგეგმვასა და გამართვას. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ, სკოლას აქვს მზაობა შექმნას პოზიტიური სასკოლო კულტურა და სასკოლო კლიმატი, რათა მოსწავლეები უფრო მეტად ჩაერთონ სწავა-სწავლების პროცესში, გახდნენ ინიციატივიანები და დამოუკიდებლები. მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, კომპლექსური დავალებების საშულებით მოსწავლე თითონ არის შემოქმედი სწავლა-სწავლების პროცესის. შესაბამისად კომპლექსური დავალება მოსწავლეს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.**ქართული ენისა და ლიტერატურის** კურიკულუმების მიხედვით, გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა მიმდინარეობს ნაცნობ თემატურ კონტექსტებში, როგორებიცაა: ადამიანი და მისი ცხოვრება, ჩვენი ურთიერთობები, კავშირი ბუნებასთან და მისთ., კომპლექსური დავალებების განხორციელება კი თავის თავში გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას და მასზე ახლის დაშენებას, რაც გამოიკვეთა კათედრასთან შეხვედრის დროსაც. საბაზო საფუხურის **უცხო ენების** კურიკულუმი აგებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე

დაყრდნობით. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს აქვს წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობა. კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს სთავაზობს ნაცნობ კონტექსტს, რომელიც დაეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალების პირობები, ხშირად ისეა ფორმულიებული, რომ მაგ. მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი(PPT პრეზენტაცია,ბუკლეტი,პოსტერი).წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ხორციელდება პროექტები არაფორმალური განათლების მიმართულებით, მაგ.მერვე კლასის მოსწავლეების ინიციატივითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა სასკოლო პროექტი "ნაბიჯი ერთიანობისკენ"(კულტურული მრავალფეროვნების მიმართულებით). ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მომდევნო წელსაც გეგმავენ არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანი, ინტეგრირებული აქტივობების განხორციელებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ** წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) თითოეულ სავალდებულო თემაში ერთი კომპლექსური დავალებაა წარმოდგენილი რამდენიმე სამიზნე ცნებით. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში კარგად ჩანს სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების და ქვეცნებების კორელაცია, რაც კარგად გამოხატავს ცოდნის კონსტრუირებას კომპლექსურ დავალებაში, კათედრა მიზნად ისახავს კონტექსტ-მაგალითებზე და რესურსებზე მუშაობას. ფიქრობენ რომ სწორად შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და რესურსები ხელს შეუწყობს ცოდნის კონსტრუირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოიაზრებს სწავლის სწავლაზე აქცენტირებას. წარმოდგენილი თემატური მატრიცები, ნაშრომის პრეზენტაციისას დასამელი შეკითხვები - რა ხერხები/სტრატეგიები გამოიყენეთ; რა ნაბიჯები გადადგით... დავალებაში მოცემული საკვანძო შეკითხვები-როგორ დავწერო... როგორ მოვიპოვო ინფორმაცია... როგორ გადმოვცე... და ა.შ.სწავლის-სწავლის სტრატეგიებიას გამოყენებაზე მიუთითებს (იხ. კურიკულუმები, კომპლ. დავალებების პირობები). **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) პედაგოგები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ამისათვის თვლიან რომ გაამრავალფეროვნონ ისეთი აქტივობები რომლებიც კოგნიტური, თვითმართვადი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან იკვეთება რომ, სკოლა ხელი შეუწყობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას(გონებრივი და ემოციური), ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობაში მოქცევას, საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზებას, მონიტორინგს და რეფლექსიას. როგორც **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებმა ინტერვიუზე აღნიშნეს ისინი მომავალ სასწავლო წელს გამოიყენებენ მოსწავლის,, თვითშეფასებას'', რომელიც ხელს შეუწყობს მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას, ასევე მოსწავლე ახდენს საკუთარი სწავლის პროცესის გაანალიზებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ცოდნის სამივე კატეგოიაზე ორიენტირება იკვეთება **უცხო ენების** საგნობრივ კურიკულუმებში, მოცემული კომპლექსური დავალების იდეები მოიაზრებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობასაც. დავალებები . მაგ. მე-8 კლასში მოცემული კომპლექსური დავალების იდეა (ბულინგის საწინააღმდეგო პოსტერის შექმნა) გულისხმობს პოსტერის შექმნას ბულინგის შესახებ, ამისათვის მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რა არის პოსტერი, რა მიზნით უნდა შექმნას და როგორ ასახოს მასში ნასწავლი. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედური სასწავლო მიზნით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ, მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელებით შესაძლებელია მოსწავლეს ცოდნის სამივე კატეგორია ჩამოუყალიბოს ერთიანობაში და არა ცალ-ცალკე, ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პირობისეული ცოდნას, რომელიც, პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნათა ფუნქციურად გამოყენების საფუძველს ქმნის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა,საკვანძო ასპექტები,კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და ,თავისთავად, მასწავლებელს ეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერდაკავშირებაში. (კურიკულუმები, კომპლ. დავალებები) **უცხო ენების** პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ახდენენ საგანთა ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რაც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევთ. სკოლის დოკუმენტაციიდან ასევე დასტურდება,რომ სკოლა ახორციელებს ინტეგრირებულ პროექტებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, კომპლექსური დავალების შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში კარგად მიმდინარეობს მოსწავლის გონებაში ცნებათა ბმულების ჩამოყალიბება, რომელიც მას სხვადასხვა მიმართულებით შეძენილი ცოდნის გამთლიანებაში დაეხმარება; სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი გრაფა "მაგალითი შედარებისთვის" იძლევა ცოდნის განზოგადების და ტრანსფერის საშუალებას, ამავე დროს პროცესს უფრო საინტერესოს და შემოქმედებითს ხდის. სკოლის **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩოები,
- სასწავლო პროექტები
- კომპლექსური დავალების ანალიზი
- ზეპირი ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის **საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგების** ინფორმაციით სასწავლო პროცესი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და თითოეულ სავალდებულო თემაში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები. ჩანს, რომ კომპლექსური დავალება მიემართება გრძელვადიან მიზანს. კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ცნებებთან და ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესი ხელს უწყობს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. თუმცა, მნიშვნელოვანია, ქვეცნებების განსაზღვაც,რომელთაც უკავშირდება საკითხი(მნიშვნელოვანია კონტექსტ მაგალითების დაზუსტებაც). სკოლის თვითშეფასების განაცხადიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეფლექსიის გამოცდილება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებშიც იკვეთება აქტივობებისა და დავალებების მიზნობრიობა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საგნობრივ კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები აღიწერება საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგებით. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ

საკითხებზე დაყრდნობით; სკოლას საბაზო საფეხურზე გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი მიზნები. აღნიშნულ საგნებში ყველა სავალდებულო თემაში არის კომპლექსური დავალება. ყველა სავალდებულო თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. სადაც კომპლექსური დავალების იდეა არის განსაზღვრული ,კარგად ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება ,ასევე განსაზღვრულია ქვეცნებებიც .ინტერვიუს შედეგად დადგინდა რომ საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე გასვლა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების, შეფასების კრიტერიუმების მჭიდრო კორელაციით არის შესაძლებელი, ამიტომ მომავალი სასწავლო წლისთვის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და შეფასების კრიტერიუმების ურთიერთკავშირზე გააკეთებენ აქცენტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ, მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობ მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარები განვითარებას, რაც დასტურდება სკოლაში საბაზო საფეხურზე განხორციელებული დავალებებით, რის შესახებაც ინტერვიუში დაწვრილებით ისაუბრეს მასწავლებლებმა. დაწყებით საფეხურზე **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას უწყობს ხელს. მაგ. საგანში "მოქალაქეობა "კომპლექსური დავალების იდეა "სტატიის მომზადება მოხალისეობის მნიშვნელობაზე" თვითგამოხატვის, თანაგრძნობის უნარის განვითარებას .უწყობს ხელს. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას ხელს უწყობს სასკოლო პროექტები და არაფორმალური განათლება. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები თეორიული, პრაქტიკული, კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვადასხვა **სპორტის** სახეობის ისტორიებს მათ შორის ქართული ტრადიციული სპორტის სახეობების ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მოსწავლეების მიერ შექმნილი პროექტები და ბუკლეტები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **უცხო ენების** პედაგოგების ინფორმაციით სკოლაში ხორციელდება ისეთი პროექტები,რომელიც მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. მაგ. პროექტი „გენდერული იდენტობა". **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საბუნებისმეტყველო კათედრის** მასწავლებლების მიერ მოწოდებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მოწმობს იმას, რომ შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის ამგები. მასწავლებლები მოტივირებული არიან ხელი შეუწყონ მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება, კონსტრუქციული უკუკავშირები, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება ეხმარება მოსწავლეებს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა

ისინი ხშირად მიმართავენ შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებს, რათა მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ადეკვატური თვითშეფასება და დაინახონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. **საზოგადოებრივი კათედრის წევრებს** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) აქვთ მზაობა დახვეწონ შეფასების ჰოლისტური სისტემა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება კათედრის წევრების მიერ. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, საგნობრივი კურიკულუმის ფარგლებში იმუშავებენ თემის ფარგლებში მიმდინარე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნაზე, გამოიყენებენ წინა წლებში კომპლექსური დავალებებზე მუშაობის გამოცდილებას. პედაგოგები გეგმავენ მეტი ყურადღება დაუთმონ მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვებას და მის ანალიზს, მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, რათა დაგეგმონ შესაბამისი ინტერვენციები, მაგ, პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა გლობალურ- ფუნქციური უნარების განვითარებას უწყობს ხელს, რაც ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერისკენაა მიმართული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის საბაზო საფეხურზე **საბუნებისმეტყველო საგნების** მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის საგნებში დაცულია შეფასების ძირითადი პრინციპები. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს ისინი აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს და მშობლებს.
   შეფასება ვალიდურია - შესაბამისობაშია მიზნებთან. შეფასების სისტემა ეფუძნება „ეროვნული სასწავლო გეგმას“. სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული იქნება შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. **უცხო ენების პედაგოგების** ინფორმაციით, შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით და წინასწარ არის ცნობილი მოსწავლისთვის , თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მისმა ნაშრომმა. გასაუბრებაზე აღნიშნეს,რომ შეფასების ინსტრუმენებს ირჩევენ მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებთან** გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა, დახვეწოს შეფასების სისტემა. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი მუშაობს ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნაზე, რომელიც ეფუძნება *შეფასების შემდეგ პრინციპებს:* ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალეობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. მოცემულ საგნებში მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. პედაგოგებს აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობის გამოცდილება, წარმდგენილი აქვთ სამივე საგნის შესაბამისი რუბრიკები. ერთმანეთთან თანამშრომლობით და გამოცდილების გაზიარებით მომავალში ცდილობენ დახვეწონ შეფასების სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ შეფასების რუბრიკების ვალიდურობა მოწმდება კათედრაზე ურთიერთდასწრების შედეგების განხილვის შედეგად, ინახება მოსწავლეთა შემაჯამებელი ნამუშევრები, შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლიების ანალიზები, რაც გარკვეულწილად იძლევა შეფასების ვერიფიკაციის შესაძლებლობას. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის

შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევევაში გაიცემა რეკომენდაციები. **საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების** ინფორმაციით, მოსწავლეთა შეფასების სიზუსტის შესაფასებლად იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება სასწავლო წლის განმავლობაში 2-ჯერ, შერჩეულია სადიაგოსტიკო ტესტირების IV ინსტრუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. დანართის მიხედვით, სასკოლო დოკუმენტაცია ინახება სკოლის კანცელარიაში, რეგულაციების დაცვით. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სასკოლო დოკუმენტაცია: მოსწავლეთა პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაწერილი ბრძანებები კლასის, საფეხურის დაძლევის შესახებ, სასკოლო კურიკულუმი კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დაცვით ინახება სკოლის კანცელარიაში. ვინაიდან მატერიალური ჟურნალი აღარ ფუნქციონირებს, არ მუშაობს ჟურნალის შენახვის წესი, მასწავლებლებს შეფასებები შეაქვთ ელექტრონულ ჟურნალში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- შეფასების რუბრიკები
- საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საბუნნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმი

ფიზიკა VII-IX ; ქიმია VIII-IX; ბიოლოგია VII-IX --კლასები.

- საგნობრივი კათედრის ოქმი.

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო კათედრის** მასწავლებლები აწვდიან მოსწავლეებს უკუკავშირს განმავითარებელი შეფასებით, უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის სასწავლო რესურსების მიწოდებას. წარმოდგენილი კურუკულუმები, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, სკოლის სამოქმედო გეგმა და თვითშეფასება ადასტურებს იმ ფაქტს რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. **ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის** პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სკოლის 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლაში შეიქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას, ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლის ღირებულებები და ფასეულობებია თანასწორობა, პატივისცემა/ტოლერანტობა, ურთიერთანამშრომლობა და სამართლიანობა, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შევსებას სხვადასხვა რესურსებით და ზოგადად სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას, დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, აქედან გამომდინარე მომავალ წელს სასწავლო პროცესში შექმნილი იქნება მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში, რაც კარგად წარმოჩინდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც. ინტერვიუს დროს **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგებმა ისაუბრეს ,რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს , შეფასებისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რათა დაინახონ თითოეული მოსწავლის პროგრესი. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების დანახვის შესაძლებლობას, ზრუნვასა და მხარდაჭერაზეა აგებული ,ეს კი დადებითად აისახება მოსწავლის თვითრეალიზებაზე. სკოლაში მუშაობს ხარისხის

განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი , რომელიც დებულების შესაბასად ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და აძლევს მასწავლებელს შესაბამის უკუკავშირს. საგნობრივ კათედრის წევრები ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ გაკვეთილს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას , გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. იგეგმება როგორც მოსწავლეთა ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და მშობელთა მეტ ჩართულობას უკუკავშირის გასათვალისწინებლად. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის** ინფორმაციით, სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში, რაც კარგად წარმოჩინდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. როგორც ინტერვიუზე გამოიკვეთა **საბუნებისმეტყველო კათედრის** მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს მათ მიერ გახორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები, ასევე კათედრის შეხვედრები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლებთან შეხვედრები), იზიარებს მათ უკუკავშირს და აქვს სიახლეების მაღალი მიმღებლობა. **სპორტის** პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მშობლები ინფორმირებული არიან საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტული ფესტივალების თემების შინაარსთან დაკავშირებით. **უცხო ენების** პედაგოგების ინფორმაციით, მუშაობს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. მშობლები ჩართული არიან არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებულ სამეწარმეო პროექტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში კარგად ჩანს რომ, სკოლას აქვს მზაობა პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ჩანს ძლიერი თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის ,რომელიც ეფუძნება ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. პედაგოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალურ განათლებას, ამ კუთხით გეგმავენ სასკოლო ექსკურსიებს, ლაშქრობებს, კლასის სპექტაკლებზე წაყვანას და რა თქმა უნდა სასკოლო პროექტებს. ყოველივე ეს პოზიტიური გარემოს შექმნას უწყობს ხელს. მთელი სასწავლო წლის მანძილზე ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი და სამუშაო შეხვედრები მონიტორინგის შედეგების შესაფასებლად , რომელიც აუცილებელი პრობლემის იდენტიფიცირებისა . თუ გარემოებების გამო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე აქტივობა სკოლისთვის არაეფექტურია, ხდება ცვლილებების შეტანა. სასწავლო პროცესში ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. სასკოლო საზოგადოება (სამეურვეო საბჭოს წევრები/მშობლები) ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესში. სკოლის **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** მასწავლებლის გასაუბრებიდან გამომდინარე, ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს . ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების კურიკულუმები
- კათედრების ოქმები; ანგარიშები
- ზეპირი ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მათ შორის **საბუნებისმეტყველო კათედრაზეც,** მონიტორინგის სისტემის გაწერა, ჩატარდება დიაგნოსტიკური ტესტირებები, რომლისი შეფასებების, ანალიზისა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ- სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებთან** საუბრისას გაირკვა, რომ სასკოლო გეგმის/კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მხოლოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულების, ხარისხის ჯგუფის და კათედრების მიერ, სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგს, ავლენს მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებებს და აძლევს პროფესიონალურ უკუკავშირს. **ქართული ენისა და ლიტერატურის** საგნობრივი კათედრის წევრები ესწრებიან და აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს. ეხმარებიან სხვადასხვა სასწავლო და კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვასა ჩატარებაში, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ეხმარებიან საჭირო მასალების მოძიებაში და სასწავლო რესურსის შექმნაში. მონიტორინგის ინსტრუმენტების დახვეწის მიზნით. სკოლას შემუშავებულ აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია. მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და მშობელთა მეტ ჩართულობას უკუკავშირის გასათვალისწინებლლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო კათედრის** მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. ინტერვიუზე მასწავლებლებმა ისაუბრეს იმ ტესტირებაზე, რომელსაც ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენის მიზნით. მათ ასევე გათვითცნობიერებული აქვთ რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ურთიედრთდასწრება კათედრას დაეხმარება უკეთ მუშაობაში და კურუკულუმის განვითარებაში. **უცხო ენების** საგნობრივი კათედრის წევრები ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ გაკვეთილს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და მშობელთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სპორტის და ესთეტიკის კათედრის** მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების** ინფორმაციით, მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. მასწავლებლები მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას და პედაგოგიური საჭიროებების დადგენას მოახდენენ თემატურ მატრიცაზე დაფუძნებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლა ჩართული იყო „პროექტში ახალი სკოლის მოდელი“,ამიტომ სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს როგორც კათედრები, დირექცია,ასევე საგნობრივი ექსპერტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12)

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ დახვეწონ და გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკაც. მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა კლასებში ჩატარებული კომპლექსური დავალების შედეგებს და იმსჯელებენ თუ

როგორ ხდება შუალედური მიზნების განხორციელებით გრძლვადიან მიზანზე ორიენტირება. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ინფორმაციით,** სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს . მოსწავლეების შეფასება ხდება საკლასო, საშინაო , შემაჯამებელი , კომპლექსური დავალებებით . თითოეულ დავალებას მასწავლებელი ადგენს ესგ-დან გამომდინარე ,აგრეთვე ითვალისწინებს მოსწავლეების სააზროვნო უნარებს, განვითარების დონეს და მათ ინტერესს . შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მასწავლებლების მიერ შედგენილი შემაჯამებელი დავალებების უმეტესი წილი არის ღია შეკითხვებით დაკომპლექტებული , რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების სააზროვნო უნარების განვითარებას. შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე და სანდო. შესაბამისი ნიშანი იწერება ელ.ჟურნალში. დაიგეგმება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით: მოსწავლეებთან , მათ მშობლებთან , თითოეული საგნის პედაგოგთან, დამრიგებელთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე მათ შექმნილი აქვთ სანიმუშოდ განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ შექმნან და გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე მოსწავლის თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკაც. მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა კლასებში ჩატარებული კომპლექსური დავალების შედეგებს და იმსჯელებენ თუ როგორ ხდება შუალედური მიზნების განხორციელებით გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს ისისნი ითვალისწინებენ, როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს, ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას. სკოლა წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს რომ მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას ეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებული მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისიწნებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. **უცხო ენების** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების სქემები. ინტერვიუში გააჟღერეს,რომ კონტექსტები და ფოკუსი შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება. კათედრას აქვს დამრიგებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობის პრაქტიკა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. ახდენენ თვითრეფლექსიას, ურთიერთდასწრებას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, ინტერესების თუ სხვა საკითხების შესასწავლად, რაც მოცემულ კონტექსტშია საჭირო და გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტულობაზე . ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეზე დაკვირვება ხდება როგორც სასკოლო, ისე კლასგარეშე აქტივობების დროს, რათა მოხდეს მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ შესწავლა. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული,/სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), ასევე გასაუბრებებიდან, კურიკულუმებიდან, მოწოდებული შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სკოლა კონკრეტულ მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენებს, როგორც განმსაზღვრეს ასევე განმავითარებელ შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის შეფასების და მონიტორინგის მრავალმხრივი მეთოდები გამოიყენონ. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის ,რეფერატის, დისკუსიის შეფასებები რუბრიკები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მონაცემთა შეგროვება და მათი გონივრული გამოყენება მოსწავლის აკადემიურ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს. როგორც ინტერვიუდან ჩანს, შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთი და ა.შ. **მათემატიკის** პედაგოგებთან გასაუბრებიდან ირკვევა რომ შეფასებისას იყენებენ შემდეგ მეთოდებს: მოსწავლეთა დაკვირვება, მოსწავლის შეფასებების შედეგების ანალიზი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, დამოუკიდებელი მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის აკადემიური დონე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგების ინფორმაციით, სკოლამ შეიმუშავა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც გეგმავს მომავალ სასწავლო წელს. შეფასება მოხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურობას, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს და სასკოლო კურიკულუმში ასახულ კომპლექსური დავალებების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებზე იმუშავებენ. ამავე დროს გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალიზმს. ამის დასადგენად კი პედაგოგები თვითშეფასების სხვადასხვა აქტივობის გამოყენებას გეგმავენ. **უცხო ენების** კათედრის ინფორმაციით, პედაგოგები იყენებენ ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების სქემებს,რომელიც აერთიანებს იმ კრიტერიუმებს და მახასიათებლებს, რაც მოიაზრება შეფასების სამიზნედ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო პროექტი
- ზეპირი გასაუბრება მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ თემატურ გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შექმნიან საუკეთესო მოდელს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** ინფორმაციით, სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კათედრის წევრებმა იმსჯელეს და წამოაყენეს წინადადებები. ამ მიმართულების გასაძლიერებლად..სკოლაში ჩატარდა სასკოლო კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის ქოუჩინგი, რომლის მიზანი იყო 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის შექმნა, შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა და შერჩევა, სადიაგნოსტიკო შეფასების შერჩევა სკოლის დონეზე. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ იზიარებდნენ ქოუჩების მითითებებს და გეგმავდნენ მათ რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო კათედრაზე** მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც კათედრის წევრებმა აღნიშნეს კურუკულუმების განხილვა და მომავალშიც გაგრძელდება კათედრაზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, ამის შედეგად სკოლის **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურუკულუმები რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, პედაგოგისშეხედულებით მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **საზოგადოებრივ მეცნიერებებს** (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო)აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მიხედვით დაგეგმოს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის და პედაგოგთა ინტერვიუს მიხედვით კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას, ამაზე მეტყველებს სკოლაში ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. ამჟამად, 2023-24 სასწავლო წლისთვის სკოლას გადაწყვეტილი აქვს გამოიყენოს შეფასების მეორე მოდელი , რომლის ფარგლებშიც მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა. სემესტრში ერთხელ კი გეგმავენ სადიაგნოსტიკო შეფასებას და გამოიყენებენ სადიაგნოსტიკო შეფასების მეოთხე მოდელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები
- კათედრის ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საგნობრივი ჯგუფის პროგრამებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ესგ-ის შესაბამისად, გაერთიანებული არიან საგნობრივ ჯგუფში - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **საბუნებისმეტყველო კათედრის** მასწავლებლები **საშუალო** საფეხურის კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, წარმოდგენილი საგნების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, როგორიცაა: მოსწავლის, მშობლის, დირექციის. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე არის დაგეგმილი რიგი აქტივობები. საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებულია კურიკულუმების მეთოდიკა. შემუშავებული კურუკულუმი ხელმისაწვდომი იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის განსახილველად, შემიძლია დავსაკვნა რომ შემუშავებული კურუკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მათ შორის, **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგანების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) კურიკულუმები, რომლებიც გამომდინარეობს საფეხურის მისიიდან, ითვალისწინებს სწავლა-სწავლების საგანმანათლებლო პრინციპებს და ამზადებს მოსწავლეს სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულებისაკენ. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლთან. ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვით, ინტერვიუს და ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალებით იკვლევენ მოსწავლეთა, მშობელთა და თემის ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს და ითვალისწინებენ კურიკულუმის შემუშავების დროს, ასევე ითვალისწინებენ წინა წლებში დამუშავებულ ინფორმაციას, მშობლებთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან მუშაობისას მიღებულ გამოცდილებას. შემუშავებულ

კურიკულუმს განსახილველად გადასცემენ სკოლის სამეურვეო საბჭოს, რომელშიც სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენელი შედის, შეთანხმების შემდეგ კი მას დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სკოლის **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** მასწავლებლის ინტერვიუდან ჩანს რომ კათედრალური კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებული მოსწავლეების ინტერესები და ხდება მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან **(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან)** თანამშრომლობით. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, კერძოდ მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით. კერძოდ, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან შემუშავებული კურიკულუმის გადახედვა, დახვეწა და ყველა კლასში კომპლექსური დავალებების დამატება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრა (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) ცდილობს კურიკულუმში ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს პროექტების საშუალებით კარგად მიმდინარეობს სასკოლო საზოგადების ინტერესების გააქტიურება და განხორციელება. მაგ. საზოგადოებრივმა კათედრამ (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) მონაწილეობა მიიღო გრძელვადიან სასკოლო პროექტში. „ კუტურული მრავალფეროვნება“რამაც სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის გააქტიურება და ჩართულობა გამოიწვია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობს. მომავალში გეგმავენ მეტად გაითვალისწინონ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და ასახონ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად კურიკულუმის შემუშავებაში ძირითადად მონაწილეობენ **საბუნებისმეტყველო** საგნების მასწავლებლები და მისი შემუშავება ხდება კათედრაზე, ასევე ისინი ითვალისწინებენ როგორც მშობლის ასევე მოსწავლეთა ინტერესებს,. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს, რაც გამოჩნდა

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, იმისა, რომ მომავალ საწავლო წელს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები უფრო მეტი აქტიურობით ჩაერთვებიან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ერთობლივი მუშაობის შედეგად კიდევ უფრო უკეთ გამოიკვეთება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, გამოწვევები სწავლა-სწავლების პროცესში, პედაგოგები მეტად გამოიყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მიდგომებს, მოსწავლის შესაძლებლობებზე და უნარებზე მორგებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს. **ესთეტიკის და სპორტის** კათედრის შედგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე(რესურს-12) სკოლაში მასწავლებელების მიერ იგეგმება მოსწავლეთა მიღწევებზე დაკვირვებით მათი საჭიროებების დადგენა და თემატური მატრიცების მოდიფიცირებას. რაც ხელს შეუწყობს სრულად გამოვლინდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლის მიერ წარმოდგენილია **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) კურიკულუმები, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, ძირითადად შემუშავებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. მომდევნო სასწავლო წლისთვის კიდევ უფრო მეტად გააძლიერებენ სასკოლო საზოგადოების ყველ რგოლის ჩართვას შემუშავების პროცესში და უფრო მეტად გამოკვეთენ მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს სწავლა- სწავლების პროცესში. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს რომ, სკოლის დირექცია კურიკულუმის შემუშავების დროს მეტად გაითვალისწინებს განვლილი სასწავლო წლის მონიტორინგის შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. კურუკულუმის საბოლოო გადამუშავებული ჩარჩო ხელმისწავდომი იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნების სასკოლო კურიკულუმი (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, სოციალურ ქსელს და სხვადასხვა პლატფორმებს აქტიურად იყენებენ მშობლის ბარათების გასაზიარებლად. **მათემატიკის** კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, სასკოლო კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების

ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურუკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმი:
- ფიზიკა - X ; ქიმია - X; ბიოლოგია X --კლასი.
- საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო პროექტი „ კულტურული მრავალფეროვნება“;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ქართული ენისა და უცხო ენების კათედრების მიერ** შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ორიენტირება ხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება

საფეხურის, მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. კერძოდ, კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. თითოეულ კურიკულუმში წარმოდგენილია ყველა სავალდებულო თემა, თემაში- ყველა სამიზნე ცნება, მოყვანილია მაგალითები შედარებისთვის. მათი სათანადო განხორციელების და განვითარების შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ეს კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. ამასთანავე, სამივე **საბუნებისმეტყველო** საგანში ჩანს, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას შემოქმედებით პროცესში. **საზოგადოებრივი მეცნიერების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისრორია) საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში ყველა სავალდებულო თემაში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალების იდეებით, კონტექსტ-მაგალითებით, რესურსებით, რომლებიც, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე .ისინი ცდილობენ ყოველთვის სახალისო, საინტერესო და მარტივად გასაგები იყოს ყოველი აქტივობა. მომავალში გეგმავენ რომ მეტად გააქტიურონ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები. **უცხო ენების კათედრის მიერ** წარმოდგენილი, საშუალო საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოიაზრებს სასწავლო პროცესში მოსწავლეზე ორიეტირებული პროცესის უზრუნველყოფას. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები და მისაღწევი შედეგები. თვითშეფასების განაცხადის თანახმად,სასკოლო გეგმის /კურიკულუმის ამოცანაა სკოლაში შეიქმნას ისეთი საგანმანათლებლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კრიტიკული, შემოქმედებითი და კომპლექსური აზროვნების უნარების განვითარებას. უზრუნველყოფილია რესურსებისა და აქტივობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, სადაც თვალნათლივ ჩანს, თუ რა უნდა შეძლოს საშუალო საფეხურის მოსწავლემ კონკრეტული საგნის ფარგლებში. კურიკულუმში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და შედეგები გააზრებულია. ჩანს, ცნებების იერარქიული კავშირი ერთმანთთან, თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას (გლობალური ფუნქციური უნარები(6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

   საშუალო საფეხურის **ბუნებისმეტყველების** კურუკულუმში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, ასევე მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე ორიენტირებული პროცესი. სკოლას აქვს სასკოლო პროექტების, ასევე კომპლექსური ტიპის დავალებების გახორციელების გამოცდილება. როგორც საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს ამ მიმართულებით მომავალ სასწავლო წელასც გეგმავენ მუშაობის გაგრძელებას. კერძოდ, იგეგმება პროექტები, როგორც ცალ-ცალკე საგნების (ქიმია-ბიოლოგია-ფიზიკის) მიხედვით, ასევე ერთობლივად. მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ, თუმცა იდეა საკმაოდ დამაჯერებელი და არგუმენტირებული იყო. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები, გაწერილი კომპლექსური დავალებები შექმნილია საგნების სტანდარტის მიხედვით, გათვალისწინებულია სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები. ჩანს კორელაცია საფეხურის

შედეგებს, სამიზნე ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებს შორის. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში ყველა სავალდებულო თემებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. ველა სავადებულო თემაში ყველა სამიზნე ცნება მუშავდება. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებას, დამოუკიდებელად სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც უზრუნველყოფს საგნის სიღრმისეული სწავლებას. მაგ. საგანში „გეოგრაფია“ სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხი „ ნარჩენების მართვა” მისი კონტექსტ მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა იძლევა გლობალურ- ფუნქციური უნარების განვითარებას. ხოლო ”ისტორიაში” წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „ დღიური დაწერა ეგვიპტური იეროგლიფების შესახებ ” კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას ხელი შეუწო განხორციელებულმა პროექტმა “კულტურული მრავალფეროვნება“, პედაგოგები მომავალი სასწავლო წლისათვის გეგმავენ სხვადასხვა სასკოლო პროექტებზე მუშაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საბუნებისმეტყველო კათედრის** წევრების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ამას ადასტურებს ინდ. გეგმა რომელიც სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა, სადაც ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა ინდ. გეგმის წარმოების. კურიკულუმებში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც მასწავლებელთან ინტერვიუს საშუალებით დასტურდება. **საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების ინფორმაციით** სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ, სკოლაში ინკლუზიური განათლება ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის და ისგ ჯგუფის კოორდინირებული მუშაობით. მულტიდისციპლინალური გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე ხდება ისგ -ის შედგენა თითოეულ საგანში, საჭიროების შემთხვევაში რევიზიის საფუძველზე. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში მეტად გაამახვილოს ყურადღება დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებზე.; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს ,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, სწავლა-სწავლების პროცესში და კომპლექსური დავალების განხორციელების ყველა ეტაპზე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალიზმს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. მომავალში გეგმავენ გაამდიდრონ გაკვეთილზე გამოსაყენებელი რესურსები, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა. **უცხო ენების კათედრის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლაში ინკლუზიური განათლება ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის და ისგ ჯგუფის კოორდინირებული მუშაობით. მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე ხდება ისგ-ის შედგენა თითოეულ საგანში.დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ისგ მე-10 კლასში,სადაც აღწერილია მოსწავლის აქტუალური დონე,გრძელვადიანი მიზნები და მისაღწევი შედეგები. საჭიროების შემთხვევაში, რევიზიის საფუძველზე, გეგმა ექვემდებარება გადახედვას და კორექტირებას. სასკოლო კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა არჩევანის უფლება , მაგ. მე-10 კლასში მოსწავლეები ქმნიან მრავალფეროვან პროდუქტს სხვადასხვა საშუალებებით: საგაზეთო სტატია,ბეჭდური რეკლამა,ვიდეო კლიპი,PPT პრეზენტაცია, სადაც პედაგოგებს აქვთ მზაობა, საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ გარემოს,რესურსების და აქტივობების მოდიფიცირება სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება განმავითარებელი შეფასების არსის გაგებისა და გამოყენების თვალსაზრისით, კერძოდ, **ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის** საგნების მასწავლებლები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში წინა წელს იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას SOLO ტაქსონომიის შესაბამისი რუბრიკით, რომლის ნიმუშიც წარმოდგენილია სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში. მომავალ სასწავლო წელსაც, პედაგოგები გეგმავენ მოსწავლეთა ცოდნის შეფასება მოახდინონ დონეების მიხედვით, მათი შედეგებიდან გამომდინარე. აქტიურად გამოიყენონ სკაფოლდინგის მეთოდს. კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენაზე. კერძოდ, გამოჩნდა, რომ მათ აქვთ მზაობა ასეთი რუბრიკების შექმნისა. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომლებზეც მასწავლებლებმა ისაუბრეს ეფუძნება სტანდრატით განსაზღვრულ თემის ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასება ეფუძნება ცნებას და ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში კათედრები განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ კოლეგებს შორის თანამშრომლობას, კერძოდ, საერთო პროექტების განხორციელების და ინტეგრებული გაკვეთილების ჩატარების, ასევე კოლეგების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკის გამოცდილებას. წარმოდგენილი არის ინტეგრირებული გაკვეთილის მასალები: „აკვარიუმი“, „ატმოსფერული წნევა და სუნთქვა“. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს მათ აქვთ კომპლექსური დავალებების ერთობლივ დაგეგმვაზე მუშაობის გამოცდილება, რასაც გაითვალისწინებენ 2023 – 2024 წლის კურუკულუმის შემუშავებისას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) პედაგოგებს აქვთ მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილების ანალიზი. კოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს რომ, ადმინისტრაციის მიერ, სისტემატიურად ხდებოდა დაკვირვება სკოლის პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ეს გამოიხატებოდა სავალდებულო გაკვეთილების ჩატარებისას, ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრებისა და კათედრის წევრების ურთიერთდასწრებაში, შემდეგ კი ხდება გამოვლენილი ხარვეზების გაანალიზება და ცვლილებების შეტანა. მომავალში გეგმავენ სკოლებს შორის თანამშრომლობას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, სემინარებსა და კონფერენციებში, როგორც მომხსენებლად, ასევე მსმენელად დარეგისტრირებას, შესაბამისი ლიტერატურის დამუშავებას, ვებინარებსა და მასტერკლასებზე დასწრებას. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ ქოუჩების მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებს, უზიარებენ

ერთმანეთს გამოცდილებას, რის შემდეგაც გეგმავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს და აგრძელებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურუკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმი:
- ფიზიკა --X ; ქიმია---X; ბიოლოგია X --კლასები.
- ინტეგრირებული გაკვეთილი: „ატმოსფერული წნევა , სუნთქვა“.
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სწორედ ეს გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესში, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება. საშუალო საფეხურზე ხორციელდება კომპლექსური დავალებები და პროექტები, სადაც მოსწავლე აქტიურადა არიან ჩართულები. საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუზე ისაუბრეს რომ ისინი ცდილობენ ნაკლებად აქტიური მოსწავლეების ჩართვას სხვადასხვა აქტივობებში საინტერესო დავალებებით. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომლექსური დავალების პირობებიდან დავალებები ისეა წარმოჩენილი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას პრობლემა ყოფა - ცხოვრებიდან, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების პროდუქტების დათვალიერების და მასწავლებლის პორტფოლიოში მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალების ანალიზით დასტურდება, რომ მოსწავლეთა სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; **სპორტის კათედრის** ინფორმაციით, 10-12 კლასებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია მოსწავლეებთან ერთად მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას. **უცხო ენების** პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომსკოლაში ფუნქციონირებს კლუბი, ტარდება მხატვრული და ინტელექტუალური ღონისძიებები, შიდასასკოლო ოლიმპიადები და ტურები, ხორციელდება პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. სკოლაში ასევე ხორციელდება მეწარმეობისა და იდეების

ლაბორატორიის ინიციატივით დაფინანსებული პროექტი: „მზის ჩირი“ რომლის მიზანიც მოსწავლეთა ძალთა გააქტიურება და ურთიერთთანამშრომლობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კურიკულუმები თემატურად სწორადაა დაგეგმილი, რაც დასტურდება შექმნილი კურიკულუმებით. კონტექსტ-მაგალითები ხელს უწყობს მოსწავლის ახალი ცოდნის წინა ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებას და გააზრებას. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ამის დამადასტურებელ მაგალითად გამოდგება მასწავლებლებთან ინტერვიუ. **უცხო ენების** კათედრის ინფორმაციით, კომპლექსური დავალების პირობები, ხშირად ისეა ფორმულიებული, რომ მაგ. მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი(PPT პრეზენტაცია,რეკლამა,სტატია). ინტერვიუში აღნიშნეს, რომ გეგმავენ არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანი, ინტეგრირებული აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში ძირითადად კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ დავალებებზე, რაც მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა, საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. სწორედ ასეთია კომპლექსური დავალებები, კომპლექსური ტიპის დავალებები, სასწავლო პროექტები, რაც ხელს უწყობს სწავლის სწავლას. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუზე აღნიშნეს ისინი მომავალ სასწავლო წელს გამოიყენებენ მოსწავლის,, თვითშეფასებას'', რომელიც ხელს შეუწყობს მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას, ასევე მოსწავლე ახდენს საკუთარი სწავლის პროცესის გაანალიზებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) პედაგოგები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ამისათვის თვლიან რომ გაამრავალფეროვნონ ისეთი აქტივობები რომლებიც კოგნიტური, თვითმართვადი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან იკვეთება რომ, სკოლა ხელი შეუწყობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას(გონებრივი და ემოციური), ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობაში მოქცევას, საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზებას, მონიტორინგს და რეფლექსიას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი სრულიად ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), რათა მოსწავლეებმა მიიღონ ისეთი სტატიკური ხასიათის ცოდნა, რაც მოიაზრებს ფაქტების, თეორიებისა და წესების შეწავლასა და სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი. ასევე როგორც მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს ისინი ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რაც ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს. სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეები სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზე გავიდნენ. ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირება ჩანს **უცხო ენების** საგნობრივ კურიკულუმებში. მოცემული კომპლექსური დავალების იდეები მოიაზრებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობასაც. დავალებები, მაგ. მე-10 კლასში მოცემული კომპლექსური დავალების იდეა (ტურისტული ბუკლეტის შექმნა) გულისხმობს ბუკლეტის შექმნას რეგიონის ღირშესანიშნაობების შესახებ, ამისათვის მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რა არის ბუკლეტი, რა მიზნით უნდა შექმნას და როგორ ასახოს მასში ნასწავლი. თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია,რომ მოცემულ სამ კატეგორიაზე ორიეტირებულობა იკვეთება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებში, სასწავლო პროექტებში და არაფორმალურ აქტივობებში. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედური სასწავლო მიზნით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ, მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელებით შესაძლებელია მოსწავლეს ცოდნის სამივე კატეგორია ჩამოუყალიბოს ერთიანობაში და არა ცალ-ცალკე, ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პირობისეული ცოდნას, რომელიც, პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნათა ფუნქციურად გამოყენების საფუძველს ქმნის. მოცემულ სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებში, სასწავლო პროექტებში და არაფორმალურ აქტივობებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **საბუნებისმეტყველო კათედრის** წევრებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს საბუნებისმეტყველო საგნებში აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის და ჩატარების გამოცდილება, რაც იძლევა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების საშუალებას. ისინი მომავალი წლისთვისაც გეგმავენ და განახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ცოდნათა ურთიერთდაკავშირების მტკიცებულებად გამოდგება ინტეგრირებული გაკვეთილი, რომელზეც ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა ისაუბრეს და გამოიკვეთა მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. ასევე , ცოდნათა ურთიერდაკავშირება მოხდება იმ კომპლექსურ დავალებებშიც, რომელიც საბუნებისმეტყველო კათედრამ წარმოადგინა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** ინფორმაციით სკოლა ცდილობს სასწავლო პროცესში შეიტანოს ისეთი ელემენტები, რაც ხელს შეუწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, მისი საშუალებით ხდება ცოდნის განზოგადება და ტრანსფერი. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, კომპლექსური დავალების შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში კარგად მიმდინარეობს მოსწავლის გონებაში ცნებათა ბმულების ჩამოყალიბება, რომელიც მას სხვადასხვა მიმართულებით შეძენილი ცოდნის გამთლიანებაში

დაეხმარება; სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი გრაფა "მაგალითი შედარებისთვის" იძლევა ცოდნის განზოგადების და ტრანსფერის საშუალებას, ამავე დროს პროცესს უფრო საინტერესოს და შემოქმედებითს ხდის. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფიზიკა --X ; ქიმია --X; ბიოლოგია --X --კლასი.
- შეფასების რუბრიკები
- მოსწავლეთა მიერ კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტები.
- მასწავლებლის მატერიალური პორტფოლიო.
- ზეპირი ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საბაზო საფეხურზე **საბუნებისმეტყველო** კათედრის ინფორმაციით სასწავლო პროცესი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და თითოეულ სავალდებულო თემაში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები. ჩანს რომ კომპლექსური დავალება მიემართება გრძელვადიანი მიზნისკენ. კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ცნებებთან და ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. ამის დამადასტურებელია მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების

რუბრიკებიც.დაწყებითი საფეხურის **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) ჩვენი საგნობრივ კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები აღიწერება დაწყებითი საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგებით. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლას დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი მიზნები. აღნიშნულ საგნებში ყველ სავალდებულო თემაში არის კომპლექსური დავალება. ყველა სავალდებულო თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. სადაც კომპლექსური დავალების იდეა არის განსაზღვრული ,კარგად ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება ,ასევე განსაზღვრულია ქვეცნებებიც .ინტერვიუს შედეგად დადგინდა რომ საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე გასვლა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების, შეფასების კრიტერიუმების მჭიდრო კორელაციით არის შესაძლებელი, ამიტომ მომავალი სასწავლო წლისთვის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და შეფასების კრიტერიუმების ურთიერთკავშირზე გააკეთებენ აქცენტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ, მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობ მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარები განვითარებას. **საბუნებისმეტყველო კათედრის** მასწავლებლების მიერ მოწოდებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მოწმობს იმას, რომ შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის ამგები. მასწავლებლები მოტივირებული არიან ხელი შეუწყონ მოსწავლეს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება, კონსტრუქციული უკუკავშირები, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება ეხმარება მოსწავლეებს. დაწყებით საფეხურზე **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას უწყობს ხელს. მაგ. საგან "მოქალაქეობაში" განხორციელებული კომპლექსური დავალების იდეა "სტატიის მომზადება მოქალაქეობის შესახებ" 21-ე საუკუნის უნარის განვითარებას .უწყობს ხელს. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას ხელს უწყობს სასკოლო პროექტები და არაფორმალური განათლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის საბაზო საფეხურზე **საბუნებისმეტყველო საგნების** მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის საგნებში დაცულია შეფასების ძირითადი პრინციპები. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს ისინი აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს და მშობლებს.

შეფასება ვალიდურია - შესაბამისობაშია მიზნებთან. შეფასების სისტემა ეფუძნება „ეროვნული სასწავლო გეგმას“. სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული იქნება შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა წინასწარ იცის ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. **საზოგადოებრივი კათედრის** წევრებს (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) აქვთ მზაობა დახვეწონ შეფასების ჰოლისტური სისტემა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება კათედრის წევრების მიერ. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, საგნობრივი კურიკულუმის ფარგლებში იმუშავებენ თემის ფარგლებში მიმდინარე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნაზე, გამოიყენებენ წინა წლებში კომპლექსური დავალებებზე მუშაობის გამოცდილებას. პედაგოგები გეგმავენ მეტი ყურადღება დაუთმონ მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვებას და მის ანალიზს, მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, რათა დაგეგმონ შესაბამისი ინტერვენციები, მაგ, პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა გლობალურ- ფუნქციური უნარების განვითარებას უწყობს ხელს, რაც ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერისკენაა მიმართული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევევაში ეძლევა უკუკავშირი. **უცხო ენების კათედრის მიერ** წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ შეფასების სისტემა არის გამჭირვალე, მასში ნათლად არის განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ობიექტურად და სამართლიანად ხდება მოსწავლის შეფასება. შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მიერ ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით და წინასწარ არის ცნობილი მოსწავლისთვის , თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მისმა ნაშრომმა. გასაუბრებაზე აღნიშნეს,რომ შეფასების ინსტრუმენტებს ირჩევენ მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებთან** გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა რომ დახვეწოს შეფასების სისტემა. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციიდან ჩანს რომ, სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი მუშაობს რომ შექმნას ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ეფუძნება *შეფასების შემდეგ პრინციპებს* ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალეობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. მოცემულ საგნებში მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. პედაგოგებს აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობის გამოცდილება, წარმდგენილი აქვთ სამივე საგნის გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ერთმანეთთან თანამშრომლობით და გამოცდილების გაზიარებით მომავალში ცდილობენ დახვეწონ შეფასების სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადებში. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** ინფორმაციით, მოსწავლეთა შეფასების სიზუსტის შესაფასებლად იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება სასწავლო წლის განმავლობაში 2-ჯერ, შერჩეულია სადიაგოსტიკო ტესტირების IV ინსტრუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. დანართის მიხედვით, სასკოლო დოკუმენტაცია ინახება სკოლის კანცელარიაში, რეგულაციების დაცვით. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სასკოლო დოკუმენტაცია: მოსწავლეთა პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაწერილი ბრძანებები კლასის, საფეხურის დაძლევის შესახებ, სასკოლო კურიკულუმი კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დაცვით ინახება სკოლის კანცელარიაში. ვინაიდან მატერიალური ჟურნალი აღარ ფუნქციონირებს, არ მუშაობს ჟურნალის შენახვის წესი, მასწავლებლებს შეფასებები შეაქვთ ელექტრონულ ჟურნალში . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- შეფასების რუბრიკები
- საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმი
- ფიზიკა -X ; ქიმია --X; ბიოლოგია -X --კლასი.
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო კათედრის** მასწავლებლები აწვდიან მოსწავლეებს უკუკავშირს განმავითარებელი შეფასებით, უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის სასწავლო რესურსების მიწოდებას. წარმოდგენილი კურუკულუმები, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, სკოლის სამოქმედო გეგმა და თვითშეფასება ადასტურებს იმ ფაქტს რომ სასწავლო პროცესი შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. **საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და მათემატიკის კათედრების** ინფორმაციით სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები. კერძოდ, საგნობრივი კათედრები ახორციელებენ ურთიერთდასწრებებს და ჩატარებული გაკვეთილების გაანალიზებას, სხვადასხვა სასწავლო და კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებაში ურთიერთდახმარებას, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ეხმარებიან საჭირო მასალების მოძიებაში, სასწავლო რესურსის და მონიტორინგის ინსტრუმენტების შექმნაში. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს კომპლექსური დავალებაზე მუშაობის დროს ცდილობენ შექმნან სასიამოვნო, საინტერესო და თანამშრომლობითი ატმოსფერო, რაც მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში, რაც კარგად წარმოჩინდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** ინფორმაციით სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს ,რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს , შეფასებისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რათა დაინახონ თითოეული მოსწავლის პროგრესი. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების დანახვის შესაძლებლობას, ზრუნვასა და მხარდაჭერაზეა აგებული ,ეს კი დადებითად აისახება მოსწავლის თვითრეალიზებაზე. სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი , რომელიც დებულების შესაბამისად ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და აძლევს მასწავლებელს შესაბამის უკუკავშირს. საგნობრივ კათედრის წევრები ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ გაკვეთილს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას , გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. იგეგმება როგორც მოსწავლეთა ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და მშობელთა მეტ ჩართულობას უკუკავშირის გასათვალისწინებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. როგორც ინტერვიუზე გამოიკვეთა **საბუნებისმეტყველო კათედრის** მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს მათ მიერ გახორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები,რომელზეც ისაუბრეს მასწავლებლებმა. ასევე კათედრის შეხვედრები.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (მაგ. მშობლებთან შეხვედრები), იზიარებს მათ უკუკავშირს და აქვს

სიახლეების მაღალი მიმღებლობა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** ინფორმაციით სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს ,რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, სკოლის დირექციის და კათედრების მიერ საქმის გადანაწილება ხელს უწყობს თანამშრომლობას და პოზიტიურ კომუნიკაციას. რაც მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ , ცდილობენ მოსწავლეებშიც განავითარონ ეს უნარები, ამისათვის გეგმავენ შესაბამისი აქტივობების განხორციელებას როგორც სასწავლო პროცესში, ასევე არაფორმალურ გარემოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესში ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. სასკოლო საზოგადოება (სამეურვეო საბჭოს წევრები/მშობლები) ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესში.**საზოგადოებრივი მეცნიერებების** ინფორმაციით სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში კარგად ჩანს რომ, სკოლას აქვს მზაობა პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ჩანს ძლიერი თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის ,რომელიც ეფუძნება ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. პედაგოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალურ განათლებას, ამ კუთხით გეგმავენ სასკოლო ექსკურსიებს, ლაშქრობებს, კლასის სპექტაკლებზე წაყვანას და რა თქმა უნდა სასკოლო პროექტებს. ყოველივე ეს პოზიტიური გარემოს შექმნას უწყობს ხელს. მთელი სასწავლო წლის მანძილზე ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი და სამუშაო შეხვედრები მონიტორინგის შედეგების შესაფასებლად , რომელიც აუცილებელი პრობლემის იდენტიფიცირებისა . თუ გარემოებების გამო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე აქტივობა სკოლისთვის არაეფექტურია, ხდება ცვლილებების შეტანა. ისახება გამოსწორების გზები და საშუალებები. **სპორტის და ესთეტიკის** კათედრის ინფორმაციით, სკოლაში არის სოციალურად, ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო. მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ერთად მუშაობენ სასკოლო კულტურის პოზიტიური გარემოს შექმნისათვის.სკოლას განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება გრძელვადიანი პროექტი ,,კულტურული მრავალფეროვნება“, რომელიც მოიაზრებს გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ თანამშრომლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმი
- ფიზიკა -X ; ქიმია --X; ბიოლოგია -X --კლასი.
- საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მათ შორის საბუნებისმეტყველო კათედრაზეც, მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ- სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** ინფორმაციით სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ, სასკოლო გეგმის/კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მხოლოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულების, ხარისხის ჯგუფის და კათედრების მიერ, სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგს, ავლენს მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებებს და აძლევს პროფესიონალურ უკუკავშირს. საგნობრივი კათედრის წევრები ესწრებიან და აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს. ეხმარებიან სხვადასხვა სასწავლო და კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვასა ჩატარებაში, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ეხმარებიან საჭირო მასალების მოძიებაში და სასწავლო რესურსის შექმნაში. მონიტორინგის ინსტრუმენტების დახვეწის მიზნით. სკოლას შემუშავებულ აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია. მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა

პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და მშობელთა მეტ ჩართულობას უკუკავშირის გასათვალისწინებლად. **საბუნებისმეტყველო კათედრაზე** იგეგმება მონიტორინგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ- სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო კათედრის** მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. ინტერვიუზე მასწავლებლებმა ისაუბრეს ქიმიაში იმ ტესტირებაზე, რომელსაც მასწავლებელმა მიმართა მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენის მიზნით. მათ ასევე გათვითცნობიერებული აქვთ რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებაც. **მათემატიკის კათედრის** ინფორმაციით, სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი , რომელიც დებულების შესაბამისად ანხორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და აძლევს მასწავლებელს შესაბამის უკუკავშირს. საგნობრივ კათედრის წევრები ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ გაკვეთილს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას , გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და მშობელთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა** აღნიშნეს, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. მასწავლებლები მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას და პედაგოგიური საჭიროებების დადგენას მოახდენენ თემატურ მატრიცაზე დაფუძნებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლა ჩართული იყო „პროექტში ახალი სკოლის მოდელი“, ამიტომ სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს როგორც კათედრები, დირექცია, ასევე საგნობრივი ექსპერტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმი
- ფიზიკა -X ; ქიმია --X; ბიოლოგია -X --კლასი.
- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12)
- საბუნებისმეტყველო კათედრის ანგარიში.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე მოსწავლის თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკაც. კათედრის წევრები აპირებენ მომავალშიც გამოიყენონ ეს გამოცდილება. მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ მეათე კლასში ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიაში ჩატარებული კომპლექსური დავალების შედეგებს და იმსჯელებენ თუ როგორ ხდება შუალედური მიზნების განხორციელებით გრძლვადიან მიზანზე ორიენტირება. სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს .მოსწავლეების შეფასება ხდება : საკლასო, საშინაო , შემაჯამებელი , კომპლექსური დავალებებით .თითოეულ დავალებას მასწავლებელი ადგენს ესგ-დან გამომდინარე ,აგრეთვე ითვალისწინებს მოსწავლეების სააზროვნო უნარებს, განვითარების დონეს და მათ ინტერესს . შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მასწავლებლების მიერ შედგენილი შემაჯამებელი დავალებების უმეტესი წილი არის ღია შეკითხვებით დაკომპლექტებული , რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების სააზროვნო უნარების განვითარებას. შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე და სანდო. შესაბამისი ნიშანი იწერება ელ.ჟურნალში. დაიგეგმება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით: მოსწავლეებთან , მათ მშობლებთან , თითოეული საგნის პედაგოგთან,

დამრიგებელთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე მათ შექმნილი აქვთ სანიმუშოდ განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს ისისნი ითვალისწინებენ როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას. სკოლა წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს რომ მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას ეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებული მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისიწნებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** წევრები გამოხატავენ მზაობას იმისათვის რომ, შეფასება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით მოხდეს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლა 2022-20223 სასწავლო წელს იყენებდა შეფასების პირველ მოდელს. მომავალი სასწავლო წლისთვის კი ირჩევს შეფასების მეორე მოდელს. მომავალი სასწავლო წლისთვის პედაგოგებს აქვთ სრული მზაობა გამოიკვლიონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები ,დაადგინოთ კლასის საჭიროებები . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. როგორც ინტერვიუდან ჩანს, შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, უკუკავშრი და ა.შ. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ინფორმაციით** სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის შეფასების და მონიტორინგის მრავალმხრივი მეთოდები გამოიყენონ. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის ,რეფერატის, დისკუსიის შეფასებები რუბრიკები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მონაცემთა შეგროვება და მათი გონივრული გამოყენება მოსწავლის აკადემიურ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება **ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში** სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. სკოლამ შეიმუშავა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც გეგმავს მომავალ სასწავლო წელს. შეფასება მოხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურობას, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს და სასკოლო კურიკულუმში ასახულ კომპლექსური დავალებების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებზე იმუშავებენ. ამავე დროს გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალიზმს. ამის დასადგენად კი პედაგოგები თვითშეფასების სხვადასხვა აქტივობის გამოყენებას გეგმავენ. საშუალო საფეხურის

მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებისას ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასებებს და სიტყვიერ კომენტარებს, შეფასებები ხდება საჭიროებებისა და მიღწევებში შესაბამისად, მაგრამ **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** პედაგოგებს დასახვეწი აქვს შეფასებები მეთოდები, რომელიც სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მოხდება მომავალ სასწავლო წელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმი
- ფიზიკა -X ; ქიმია --X; ბიოლოგია -X --კლასი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი; კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ თემატურ გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შექმნიან საუკეთესო მოდელებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის წევრებმა იმსჯელეს და წამოაყენეს წინადადებები. ამ მიმართულების გასაძლიერებლად .სკოლაში ჩატარდა სასკოლო კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის ქოუჩინგი, რომლის მიზანი იყო 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის შექმნა, შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა და შერჩევა, სადიაგნოსტიკო შეფასების შერჩევა სკოლის დონეზე. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ იზიარებდნენ ქოუჩების მითითებებს და გეგმავდნენ მათ რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო** კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც კათედრის წევრებმა აღნიშნეს კურუკულუმების განხილვა, დახვეწა, გაუმჯობესება მომავალშიც გაგრძელდება კათედრაზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **საზოგადოებრივ მეცნიერებებს** (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო)აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მიხედვით დაგეგმოს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის და პედაგოგთა ინტერვიუს მიხედვით კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას, ამაზე მეტყველებს სკოლაში ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. ამჟამად, 2023-24 სასწავლო წლისთვის სკოლას გადაწყვეტილი აქვს გამოიყენოს შეფასების მეორე მოდელი , რომლის ფარგლებშიც მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა. სემესტრში ერთხელ კი გეგმავენ სადიაგნოსტიკო შეფასებას და გამოიყენებენ სადიაგნოსტიკო შეფასების მეოთხე მოდელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმი
- ფიზიკა -X ; ქიმია --X; ბიოლოგია -X --კლასი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

/ინა ბიწაძე/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

/ტარიელ სივსივაძე/

/ნათია დარსაძე/

/ირმა ქაფიანიძე/

/თაია მამარდაშვილი/

/დავით კიკაბიძე/

/ნადია დაბრუნდაშვილი/

/მარინე ხუციშვილი/

/მაია ჩაჩხიანი/

/მიხეილ გაფრინდაშვილი/

/ნინო მახარაშვილი/

22.09.2023 წ.
თარიღი